ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www.ilori.ge

№100 (161) 28 დეკემბერი – 4 იანვარი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## დღეს გამოდის განახლებული „ილორის“ მე-100-ე საიუბილეო ნომერი.

# გილოცავთ!

# რაც ალხანაა, ის ჩალხანაა...

გასაოცარმა პოლიტიკურმა სითბომ დაისადგურა საქართველოსა და ბელორუსიის მმართველ წრეებს შორის. გასაოცარი ამაში არაფერია – ლუკაშენკოს და სააკაშვილს ხომ ყველასაგან არჩევნების ტოტალური გაყალბება და ხელისუფლების ძალადობრივი გზით უზურპირება აერთიანებთ.

ახლა საქართველოს თავზე შემომსხდარი ნაციონალები იმის მტკიცებას დაგვიწყებენ, რომ, ბელორუსებს ისევე "უყვართ" გამყალბებელი ლუკაშენკო, როგორც ქართველებს – გამყალბებელი სააკაშვილიო. ეს სიყვარული ჯერ 7 ნოემბერს გამოვლინდა საქართველოში, როცა ხელისუფლებისაგან მისეულმა არაკაცებმა თავპირი დაამტვრიეს მშვიდობიან ქართველ მომიტინგეებს, შემდეგ კი გივი თარგამაძე გვიკიოდა ტელეეთერში: "სულს ამოგართმევთ ყველას"-ო. ბელორუსი ხალხის ლუკაშენკოსადმი სიყვარულის (და პირიქით) გამოვლინება გახლდათ ბელორუსიის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც თითქმის ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი და მათ მხარდამჭერ მომიტინგეთა ნახევარი ციხეებში გაისტუმრეს!

რაც შეეხება "სულის ამორთმევას", ნაციონალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი "პირნათლად" ასრულებენ დანაპირებს და თანდათან გვხდიან სულს გადასახადების პერმანენტულად გადიდებით, პროდუქციის გაძვირებით და ჩვენი გაუსაძლისი ყოფის კიდევ უფრო დამძიმებით!

უჰ! ბოდიშს გიხდით! კინაღამ მთავარი სათქმელი დამავიწყდა: მიხეილ სააკაშვილსა და ალექსანდრე ლუკაშენკოს კიდევ ერთი რამ აერთიანებთ – რუსეთისადმი შიში და სიძულვილი, რადგან მათ ქვეყანაში მათ მიერვე დატრიალებულ ყველა უბედურებას რუსებსა და რუსეთის ხელისუფლებას ხელაღებით აბრალებენ!

როგორც საქართველოში, ასევე ბელორუსიაში, დღედაღამ გაისმის საკუთარი ხალხის მიერ მოძულებულ ხელისუფალთა შიშნარევი როყიო ყეფა: რუსი მოდის!

საკმარისია რომელიმე ქვეყანაში რუსი ეროვნების ადამიანი დაიჭირონ, რომ ჩვენი სახელისუფლებო არხები გახარებული ყიჟინებენ: "ნახეთ, კიდევ ერთი რუსი ჯაშუში დაიჭირესო"!

ამათ შემხედვარეს დიდი მუხრანის ლექსის ერთი ტაეპი მახსენდება:

"ვინ გინდა იყავ, გინდ არქიფო, და თუგინდ ზაქრო,
რა გიხარია, შე შობელძაღლო"!

უკვე ოცი წელიწადი გავიდა, რაც რუსები უბოდიშოდ გავისტუმრეთ ჩვენი ქვეყნებიდან, მაგრამ ამის შემდეგ არც ბელორუს და არც ქართველ ხალხს სასიკეთოდ წინსვლისა არაფერი დასტყობიათ. სამაგიეროდ, სააკაშვილისა და ლუკაშენკოს გარემოცვის ბიჭები, მათივე ხელმძღვანელობით, მიიწევენ განუხრელად მატერიალური კეთილდღეობისაკენ, რადგან გუშინ ცალ-ცალი კალოშით ჩამოსული ნაციონალები დღეს მხოლოდ ფეშენებელური ბინების, მანქანებისა და რესტორნების არჩევით არიან დაკავებული. ხოლო, თუ საზღვარგარეთ წავიდნენ "საქმიანი" მივლინებით, არც მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან გართობას იკლებენ (როგორც ეს პორტუგალიაში იყო), რომელთაც საკუთარ მეუღლეებად აცხადებენ!

რას იზამ, თუ ადამიანს საკუთარი მეუღლის კახპად გამოცხადების არა სცხვენია, მაშინ არც იმას ითაკილებს, რომ საკუთარ ხალხში დაინახოს ყოვლად უღირსი და მათხოვრული საწყისი!

რაც შეეხება ბელორუსიას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველო დაინტერესებულია ბელორუსიაში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებით. ეს გახლავთ სიმართლის ერთი ნახევარი, რომელსაც მეორე ნახევარი არ გააჩნია, რადგან საქართველოს ხელისუფლება აშკარად დაინტერესებულია ყველა სხვა ქვეყანაში არჩევნების დემოკრატულად და სამართლიანად ჩატარებით, მაგრამ არა საქართველოში. ჩვენთან არჩევნები იმ ხალხურ თქმას მაგონებს: "ვირს პიტნა არ უყვარდა და მაინც ცხვირში ატენიდნენო". საქართველოში საზოგადოების უმეტესობა აშკარად გამოხატავს უნდობლობასა და სიძულვილს ნაციონალებისა და მათი ბელადის მიმართ, მაგრამ ესენი მაინც უტიფრად უმტკიცებენ ყველას: არჩევნები არ გაგვიყალბებია, ხალხს ვუყვარვართ, გვენდობა, ხმებს გვაძლევს და ამიტომაც ვიმარჯვებთ არჩევნებზეო. რაც შეეხება მათ სასარგებლოდ შეთხზულ ეგზიტპოლებს, წინასწარ კვლევებს იმ მოსყიდულ ამერიკულ არასამთავრობოებს, უზნეო იაკობაშვილებსა და ნოდიებს ატარებინებენ, რომელთაც ჭეშმარიტების სიკვდილივით ეშინიათ, სიყალბეს კი მათთვის მაღალი თანამდებობები მოაქვს!

გიჟები არიან, რომ ეს ყველა პირადული სიკეთე ჭეშმარიტების გულისთვის დაჰკარგონ?

აი, რუსებს რომ არ სჯერათ საქართველოში რეალური არჩევნების ჩატარებისა, იმიტომაც მიაჩნიათ რუსები თავიანთ დაუძინებელ მტრებად ლუკაშენკოსა და სააკაშვილს!

და ვიდრე ისინი ხელისუფლებაში იქნებიან, სულ უფრო და უფრო გაუღრმავდებათ სიძულვილი იმ რუსების მიმართ, რომლებსაც ლუკაშენკო და სააკაშვილი კარგა ხანია მიაჩნიათ პოლიტიკურ ლეშებად!

## გატონი გაურ ქოგალია 70 წლისაა

## საქართველოს ენერგეტიკა 1992-2010 წლები: დაუსჯელი დანაშაული

5

# კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

*გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.*



ДАВИТ ШАРВАШИДЗЕ

11. სოხუმი. XX საუკუნის 10-იანი წლები
Акәа. XX ашәышыкәса 10-тәи ашыкәскәа

**ДИДИ САЛМЕ**

ბოდღო ემუხვარს იგონებს პროფესორი ვალერიან ზუხბაია: **"ძმებს შორის უფროსი ბოდღო იყო. იგი რატომღაც თავიდანვე აითვალწუნა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, უდანაშაულო ახალგაზრდა 1924 წელს დაუპატიმრეს და სოხუმის ციხეში მოათავსეს. სწორედ იმ დროს იქ იჯდა მენშევიკობისათვის დევნილი მამაჩემი აქვსენტი ზუხბაია. ისინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მამა შემდეგ დიდი სითბოთი ხშირად ახსენებდა ბოდღო ემუხვარს. მისგანვე ვიცი, რომ ერთხელაც, როცა ბოდღო სოხუმის ციხიდან თბილისში გადმოჰყავდათ, მან დრო იხელთა, მატარებლიდან გადახტა და მიიმალა. შემდეგ ბოდღო ემუხვარმა თბილისს შეაფარა თავი, ოჯახი შექმნა და მწერლობას მიჰყო ხელი, აქვეყნებდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს. მისი ერთ-ერთი წერილი "აფხაზთა ზრდილობისათვის" გამოქვეყნდა ჟურნალ "მნათობში". იმ დროიდან მახსოვს, ბოდღო ემუხვარს კონსტანტინე გამსახურდიამ სთხოვა, ეთარგმნა მისი რომანი "მთვარის მოტაცება". ბატონმა ბოდღომ ამ საქმეს მშვენივრად გაართვა თავი და მალე, თბილისში, "მთვარის მოტაცების" ბოდღო ემუხვარისეული რუსული თარგმანი გამოიცა.**

**1924 წელს ბოდღო ემუხვარი, როგორც ქართველი ნაციონალისტი, დაიჭირეს. ამბობდნენ, მას ძალიან დამამცირებელი წინადადებები – მეგობრების დასმენა შესთავაზეს, რასაც მან თვითმკვლელობა არჩია, "ჩეკას" მაღალი შენობიდან გადმოხტა და დაიღუპა".**

ბოდღო ემუხვარის შვილისშვილები დავითი და ნინო შარვაშიძეები თბილისში ცხოვრობენ. ისინი რუდუნებით უვლიან ბაბუას არქივსა და გადარჩენილ საოჯახო რელიქვიებს.

ქალბატონ ნინოს მონათხრობი: "რევოლუციამდელ აფხაზეთში ერთ-ერთი გავლენიანი თავადი ყოფილა ბოდღოს მამა მელიტონ ბატას ძე ემუხვარი. მელიტონი გალის რაიონის სოფელ ოქუმში ცხოვრობდა მას დიდ პატივს სცემდა აფხაზურ-ქართული საზოგადოება. ისიც აქტიურად მონაწილეობდა ყველა იმ საჭირბოროტო საქმის გადაწყვეტაში, რომელიც ხალხს აღელვებდა. მელიტონ ემუხვარმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო 1916 წელს სოხუმიდან თბილისში აფხაზეთის საკითხებზე წარგზავნილი დეპუტაციის მუშაობაში.

გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა მელიტონს სახლი ჩამოართვეს და ოქუმის დატოვება უბრძანეს. მოხუცის გულმა ამ დამცირებას ვერ გაუძლო და იგი მალევე გარდაიცვალა. უმცროსი შვილები მართა და მიხეილი დედასთან ერთად თბილისში დამკვიდრდნენ. მე მახსოვს მელიტონის მეუღლე, ჩემი დიდი ბებია – ნინო თბილი ქალი იყო, გონიერი, აუღელვებელი. 1940-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა.

საინტერესოა მელიტონის უფროსი ვაჟის გრიგოლის (გრიშას) ბიოგრაფიაც. იგი სტუდენტობიდანვე სოციალ-დემოკრატიული იდეებით ყოფილა გატაცებული და აქტიურადაც მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ამ ამბით განრისხებულ მამას შვილი სახლიდან გაუგდია. ასე უთქვამს – ჩემს ვაჟს ილია ჭავჭავაძის მკვლელებთან რა საერთო უნდა ჰქონდესო?!

გრიგოლ ემუხვარი ირანის რევოლუციაშიც იღებდა მონაწილეობას და იქ დაიღუპა.

ბოდღოს უმცროსი ძმა მიხეილი (ჭიჭი) მცხეთაში ცხოვრობდა. მისი ვაჟის – თარაშის ოჯახიც მცხეთაშია დამკვიდრებული.

მელიტონ ემუხვარის ერთადერთი ქალიშვილი მართა, ანუ, როგორც ჩვენ მივმართავდით **„მართა მელიტონოვნა"**, განათლების სისტემის ერთ-ერთი გამორჩეული მუშაკი იყო. მან მთელი ცხოვრება ობოლი და მიუსაფარი ბავშვების აღზრდას მიუძღვნა. ბოლო წლებში სურამის ბავშვთა სახლის დირექტორად მუშაობდა. მართალი, შეუპოვარი, ალალი, ხელგაშლილი ქალი იყო. ასე ამბობდნენ: მართას აღსაზრდელებს რა გაუჭირდებათ, ისეთი დედა-დირექტორი ჰყავთო.

ბებია ლილი და დედაჩემი, ბაბუა ბოდღოს შესახებ და საერთოდ თავსდამტყდარ რეპრესიებზე, ახალგაზრდებს, თითქმის არასოდეს გვიყვებოდნენ, სიცოცხლის ბოლომდე ეშინოდათ. დანამდვილებით ისიც არ ვიცით, ბოდღო ჩეკაში როგორ დაიღუპა. თავი მოიკლა თუ მოკლეს..."

# კოლხეთი საქართველო კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

**კოლხეთი ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანა**
**იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე**
**პროფ. ლევან სანიკიძე**
**დასაწყისი №97,98.**

### შოთა ხვედელიძემ იბერიული (მეგრული) ტაბულა გაშიფრა

1975 წელს ჟურნალ **"Техника молодежи"** (№6) გამოქვეყნდა გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანეგიმ. სამი თვის სემდეგ თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ტექსტი გაშიფრა, რომელიც მთლიანად გამოაქვეყნა აღნიშნულმა ჟურნალმა.

1875 წლია 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა ლინგვისტებისა და ისტორიკოსების დიდი თათბირი მოიწვია, რომელმაც მოისმინა შოთა ხვედელიძის ინფორმაცია. აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ ტექსტის წაკითხვა ჩათვალა აბსოლუტურად სწორად.

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები აკადემიკოსი აკადემიკოსი ა. ბელოპლედვსკი წერდა: **"თუ დადასტურდა** (ჩანს დასტურდება) **შ. ხვედელიძის ჰიპოთეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, 3.479 წლით გადაიწევს ქართული დამწერლობის საწყისი ისტორია, და ტექსტის დეტალურად გაცნობის შემდეგ ახდება დასკვნა: "მიმაჩნია გაშიფვრა, ტექსტის წაკითხვა, სწორადაა მომხდარი".** ასეთივე შეხედულება ჰქონდათ ისტორიკოს ილია ბარაყკოვს და იულიან ზიცარს.

შ. ხვედელიძემ მის მიერ გაშიფრული ტექსტები აალაპარაკა: დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში, საქართველოშო მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა როიმ და მოუწოდა ხალხს დაეტოვებინა საქართველო. ქვეყანა დატოვა 400 ათასზე მეტმა ადამიანმა. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირენეის მთების კალთებზე და ბასკეთის ყურის ნაპირზე.

ჩრდილოელმა ნაციონა-შოვინისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ შოთა ხვედელიძის მიერ გაშიფრულ ტექსტზე მუშაობა უშედეგოდ დამთავრებულიყო და ამით ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი ჩააგდეს. სამწუხაროდ, მტკიცე ჯანმრთელობის მქონე შ. ხვედელიძე მალე გარდაიცვალა და ამ საქმით შემდგომში საქართველოში არავინ დაინტერესებულა.

### უანჩები (გუანჩები) – მეგრული ტომები

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს მიიჩნევენ ატლანტიდიდან მოსულ ერად) პირველი კაცის სახელი არის **"აიონი"**, რაც აშკარად ჰგავს **"აიას"** (კოლხეთს). აიას (**"აიონის"**) შვილს ჰქვია **"ფურ"**, რაც ატლანტიდურ-ფინიკიურ ენაზე ნიშნავს **"ცეცხლს"**. კოლხურად ეს სიტყვა ნიშნავს **"ცხელს"**; **"ფურე"** კოლხურად (მეგრულად) ნიშნავს **"მხურვალეს"** (აქედან ქართული **"ფურნე"**). ატლანტთა ენაზე **"ფურ"** არის ცეცხლის აღმომჩენი – ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერება. კოლხურში არის აგრეთვე **"ფურ-კი"** – **"კვამლი"**. როგორც აღინიშნა, ატლანტი პრომოტეს ძმაა, პრომოტე კი აიეტის ნათესავი.

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს **"მოლი"** ჰქვია. ეს ხომ არ არის ის **"მოლი"**, რომელიც გვხვდება **"არგონავტიკაში"** და ეს ის **"მოლი"** ხომ არ არის, რომლითაც მედეს ავადმყოფებს მკურნალობდა? – ეს წარღვნამდელი ქართული (კოლხური) სიტყვაა. **"მოლი"** ფინიკიურად ზღვაში ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ნიშნავს.

აცტეკურ მითებში ლაპარაკია ორ ადამიანზე, რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას: **"ტატა"** და **"ნენა"**. ესენი უძველესი მეგრული სიტყვებია. **"ნენას"** დღესაც დედას უწოდებენ სამეგრელოში (**"ნენა"**, **"ნანა"**), ხოლო **"ტატა"** (**"ტატალი"**) სამეგრელოში ამჟამადაც ჰქვის **"ლამაზს"**, **"საუცხოოს"**, **"მშვენიერს"**. მითების ტანახმად ღმერთები სწორედ **"ლამაზებს"**, **"საუცხოოს"**, **"მშვენიერს"** – არჩევდნენ წარღვნის შემდეგ კაცთა მოდგმიდ გასაგრძელებლად.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური ალფავიტი და მაიას ტომის ანბანი (**"კოლხუას ანბანი"**). თუ ეს ასეა, მაშინ ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა **"თააუთ"**-მა. **"თაითს"** ეგვიპტელები მთვარის ღმერთს **"თოთს"** უწოდებდნენ. კოლხურში **"თოუთი"** – **"თიუთა"**, **"თუთა"**, **"მთვარის ღვთაებაა"** (**"დამწერლობის ღმერთი"**): ძველ კოლხეთში ეს ნიშნავს **"მთვარეს"**, **"თვეს"**, კვირის პირველ დღეს – **"თუთა-აშხა"**-ს (ორშაბათი)... მთვარის ეგვიპტური სახელი ეტყობა მეგრელებმა საკუთრებად გაიხადეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება **"თუთაშდღა"** – მთვარის დღე. გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის **"დათა თუთაშხია"** – მთვარის პერსონაჟის გვარის ფუძე და ძირი **"თუთაშხია"**. ეს წარღვნამდელი სიტყვაა.

ფინიკიელებს და ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ მათი დამწერლობა მესამე ფუძეწყაროდან მოდის. ამ მესამე **"ფუძე-წყაროდ"** მეცნიერთა ნაწილი ატლანტიდურ ანბანს მიიჩნევს. ატლანტიდაზე დამწერლობის არსებობას პლატონიც ადასტურებს (**"ტიმეოს"-ი** და **"კრიტია"**). კოლხუას ხალხმა მაიას ტომს ჩაუტანა ანბანი და კულტურის სხვა მონაპოვრები.

**"ამ"** ფინიკიურად დედას ნიშნავს (**"ამ"** მეგრულად არის **"ეს"**), ფინიკიური **"ბობო"** არის პაპა, **"ბენ-ბენი"** – შვილისშვილი, **"რაფა"** კი მკურნალს ეწოდება.

ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთით ზღვფის სანაპიროზე. ფინიკიელები თავიანთ თავს **"ანაკის შვილებს"** ეძახდნენ. ქვეყნის მთავარი ქალაქები იყო ტირი და სიდონი. ფინიკიელები განთქმული ზღვაოსნები იყვნენ. ჰეროდოტეს მტკიცებით ფინიკიელები გაემგზავრნენ წითელი ზღვით, შემოუარეს **"შავ კონტინენტს"** (აფრიკას), გაცურეს

ჰერკულესის სვეტებამდე (ჰიბრალტარამდე) და შემდეგ ხმელთაშუა ზღვით კართაგენში ჩავიდნენ. ფინიკიელი მეზღვაურები თავიანთი პატარა იალქნიანი და ნიჩბიანი ხომალდებით ევროპასაც უვლიდნენ და შედიოდნენ ბალტიის ზღვაში, მის ნაპირებზე ვაჭრობდნენ უცხოელებთან, განსაკუთრებით დაეძებდნენ **"ელექტრონს"**, ასე ეძახდნენ მაშინ ქარვას, რომელიც სამკურნალო თვისებების მქონე ძვირფასეულობად ითვლებოდა. დასავლეთში ჰერაკლეს (ჰიბრალტარის) სვეტებს იქით მდებარეობდა ბედნიერი, ანუ ბედნიერების კუნძულები, რომლებშიც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, სადაც უშფოთველად ცხოვრობდნენ და ტკბებოდნენ მარადიული ბედნიერებით. ამ კუნძულების მიწა-წყალს **"ელისეის ველები"** ეწოდებოდა. ამას იხსენებს ჰომეროსი თავის **"ოდისეაში"**, ასევე ჰესიოდე, პინდარი და სხვები. ამ კუნძულებს ახსენებდნენ უძველესი არაბებიც ზღაპრებში და ლეგენდებში და მათ **"სამარადისოს"**, **"ბედნიერს"** უწოდებდნენ (ჯეზალ ელ-ხალიდადი), შემდეგ ამ კუნძულებს კარიბის კუნძულები ეწოდა.

**КЛИМЕНТИ ШЕЛИА,**
**აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**
*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სამეგრელო დავით დადიანის დროს

*ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი".*

**დავით დადიანი სამეგრელოს მმართველი. მისი ჯვარისწერა. მთავრობის გადაცემის ცერემონია ზუგდიდში**

გიორგი ეპისკოპოსისაგან წაკითხული მიმართვა საზოგადოებისადმი მთავრის ლევან დადიანისა იყო შედგენილი ამგვარად:

**სამეგრელოს მთავრის ლევანის წერილობითი მიმართვა.**

სამეგრელოს სამღვდელოების, თავად-აზნაურთა და სხვათა დიდად პატივცემულო საზოგადოებავ!

1840 წ. მაისსა 11-ს გრიგორიოპოლით

"სამეგრელოს მთავრის სახელზე რუსეთის საიმპერატორო ტახტის კეთილისმყოფელობითმა სუფევამ განაბნია წყვდიადი, რომელიც გადაჰფენოდა ამ ჩვენს მხარეს, განიკურნა იარანი, რომელნიც მიეღო იმ დაუდგრომელ ხანებში და რომელნიც ჰქონჯნიდნენ სამეგრელოს გულ-ღვიძლსა; გვრჩებოდა მხოლოდ შინაური კეთილგანრიგებით დაგვეყენებია ფეხზე კეთილდღეობა სამთავროსი საუკუნოდ. ამას მივაპყარით მთელი ჩვენი ყურადღება იმ დროიდანვე, როცა მისის უდიდებულესობის ბრძანებით, ჩემს ნეტარხსენებულის მშობლის გრიგოლის შემდეგ, ჩავიბარე სამეგრელოს მთავრობა უმაღლესად დამტკიცებული პუნქტების თანახმად. მე სულ იმასა ვნატრობდი, რომ მოქალაქეობრივის ცხოვრების დამყარებით და შრომისა და ხელოსნობის გაცხოველებით ჩემის სამთავროს კეთილმოწყობილება დამსგავსებოდა სხვა სამთავროთა კეთილმოწყობას. ჩემის ამ ზრუნვის დროს, თქვენ, თქვენის მოქმედებით დაამტკიცეთ ერთგული ქვეშემრდომობა ჩვენის ხელმწიფისა და მორჩილება თვისის კანონიერი მთავრისა, სამაგალითოდ მშველოდით სამშობლოს სასარგებლოდ მიმართულ ყოველს ჩემს საქმიანობაში. და ყოველივე ამისათვის, ხელმწიფის სხვა მრავალი წყალობის გარდა დაჯილდოვებულთ, როგორც თვით სახლი მთავრისა, ისე თქვენცა ამით, რომ საყვარელი პირმშო ძე ჩემი დავითი 1831 წ. მაისის 30-ს უმაღლესად ბოძებული სიგელით ცნობილია და დამტკიცებული სამეგრელოს და სხვა მხარეების მთავრის მაღალი ღირსების მემკვიდრედ. რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთს უმაღლეს დანიშვნას ჩემის შვილის დავითისათვის ჯერ ისევ მის სიყრმეში, იმდენად წმინდა მოვალეობად მიმაჩნდა მისი წოდების შესაფერისად აღმეზარდნა ის. მისი აღზრდის საქმეს ვხელმძღვანელობდი ნაწილობრივ საკუთრად მე და ნაწილობრივ გამოცდილი და კეთილსაიმედო წარჩინებულნი გვამნი სახელმწიფოსნი. ამ ჟამად მე დამშთენია დროითვე ვიზრუნო ჩემის სამფლობელოს შინაურ საქმეთა მოგვარებისათვის, ვუმზირო ჩემის თვალით, როგორ მართავს მხარეს ჩემი შვილი და დავიტკბო ჩემის სიცოცხლის უკანასკნელი დღენი.

ჩვენ ამ ბედნიერ დღემდე მივაღწიეთ, სამეგრელოს მემკვიდრემაც თვისის ჭეშმარიტის ღირსებით გაამართლა ჩემი იმედი და უმეტესად შეიქმნა ძვირფასი ჩემის გულისათვის.

მიუხედავად ამისა, განუწყვეტელმა ზრუნვამ და 30 წელზე მეტის ხნის სახელმწიფო სამსახურმა და ისიც მძიმე გარემოებაში, უდროოთ წამართვა ტანსიმრთელე და რადგან ვგრძნობ, ჩემი ძალ-ღონე იმდენად დასუსტდა, რომ არ შემეძლება განვაგრძო მართვა სამეგრელოსი, ამ სამართლიან მიზეზთა გამო მე ბედნიერება მქონდა უქვეშემრდომილესად მიმემართნა ხელმწიფე იმპერატორისათვის და მეთხოვნა გავენთავისუფლებინე თანამდებობიდან და სამეგრელოს და მასთან შემოერთებულ სხვა მხარეთა მართვის საქმე ჩამებარებინა ჩემი საყვარელი ძის, სამეგრელოს მემკვიდრის დავითისათვის.

აწ საქართველოს მთავარმართებელმა შემატყობინა, რომ ხელმწიფე იმპერატორს ჩემს თხოვნაზე თავისი თანხმობა უბრძანებია.

თანახმად ჩემი სურვილისა, რომელიც ღირს იქმნა უმაღლესი დამტკიცებისა, ამ რიცხვიდან ჩემს საყვარელს ძეს დავითს გადავსცემ სამეგრელოს და სხვა მასთან შემოერთებულ მხარეთა მართვა-გამგეობის წმიდა მოვალეობის ტვირთს, ყველა წოდების მცხოვრებთ და მათს შესახებ ყოველგვარ საქმეებს. მემკვიდრეობის იმავე უფლებათა თანახმად, რომელნიც მოხსენიებული არიან იმ სათხოვნელ პუნქტებში, რომლებიც უმაღლესად დაუმტკიცდა ჩემს განსვენებულ მშობელს გრიგოლ დადიანს, და თვით უმაღლესადვე 1831 წ. მაისსა 30-სა დღეს ჩემი ძისა დავითისათვის ბოძებულ სიგელში; ამასთანავე ერთად მას გადავსცემ სამთავრობო სახლის დიდებულებას (საინვენტიტურო ნიშნებს), რომელიც მემკვიდრეობით გვებოძა ხელმწიფე იმპერატორისაგან და სარდლობის ნიშნად ბოძებულ დროშასა და ხმალს.

სამთავროს მართვა-გამგეობის ჩაბარების ჟამს არ შემიძლია არ მივმართო საყვარელსა ძესა ჩემსა დავითს და არ გავუმჟღავნო გრძნობანი ჩემნი და ჩემი აზრი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს იმან, რაზედაც აქ საქვეყნოდ ვაცხადებ.

საყვარელო შვილო ჩემო, დავით! პირველ და მთავარ კანონად გულის სიღრმეში გქონდეს: სიყვარული ღვთისა, ერთგულება ხელმწიფისა და მამულისა და მზადყოფნა მისდა მსახურებად უკანასკნელ სულის ამოხდამდე; პატივ ეც კანონებსა, როგორც მბრძანებელმა და მამამ, იზრუნე შენთვის ჩაბარებულ მცხოვრებთათვის, როგორც საკუთარი მამის სახლისათვის; კანონად დაისახე, რომ ისინი კმაყოფილნი იყვნენ შენის მართვა გამგეობითა, არავის გააყვანინო თვითნებობა და ერთიმეორე არავის დააჩაგვრინო. ვინ არ იცის, რომ ქვეშემრდომთა სურთ იცხოვრონ და იმოქმედონ ისე, როგორც მათი მთავარი ცხოვრობს და მოქმედობს, მაშასადამე, უნდა ეცადო კეთილი მაგალითი უჩვენო, რომ შენის მართვა-გამგეობის ჟამს სუფევდეს სამართლიანობა, საკუთრების დაცვა დაფარვა და კანონიერება ყოველ ქვეშემრდომისათვის.

თუ ამეებს აასრულებ, შენ დაამტკიცებ, რომ ღირსი ხარ, იმ მაღალ ხარისხისა, რომელშიც ყოვლადმოწყალე ხელმწიფემ ღირსგვყო დადგინება; თუ არა იშიშვებდე, რომ ყოველს სენს მოქალაქეობის აღუსრულებლობას მოსდევს შავსვიანი დამცირება.

როცა ჩემს საყვარელ ძეს დავითს მამაშვილურს დარიგებას ვაძლევ, მე უნდა მოგახსენოთ, სამეგრელოს სამთავროს დიდად პატივცემულო საზოგადოებავ, რომ თქვენი მოვალეობაა: ემორჩილებოდეთ კანონიერს მთავრობას, თავი არ გეზოგებოდეთ ჩემის შვილის დავითისათვის, რომელსაც ჯერ ისევ ჭაბუკობაშივე ხვდა წილად ტვირთი თავის ქვეყნის მართვა-გამგეობისა. მშობლიური მზრუნველობით ჩამიბარებია მისი თავი თქვენთვის, მთავრის ოჯახის ყველა ერთგულთათვის და დაგარიგებთ: ემორჩილებოდეთ ყველა მის განკარგულებას, ერთგულად ემსახურებოდეთ ხელმწიფე იმპერატორს, თქვენის მთავრის მშვიდობიანი მართვა-გამგეობა საკუთარ კეთილდღეობად ჩასთვალეთ; როცა მისი საქმე კარგად წავა, მაშინ ყველა თქვენც კეთილდღეობაში იქნებით, მთავარი საქმე ისაა, ყველა ეს თვისება დააფასოთ არ გაურბოდეთ სიკეთეს, და მაშინ თქვენთვის სულ ადვილი იქნება ეწიოთ სანატრელს ბედნიერებას, ოღონდ კი ერთგულება და სიმართლე გამოიჩინოთ თქვენს მოქმედებაში.

დასასრულ, ვსასოებ, რომ ყოველი თქვენგანი, ვინც ჩემი შვილის მართვა-გამგეობის ქვეშ უნდა იყვეთ, ჩემ მიერ მოცემულ წინდად მოიგონეთ თქვენთა წინაპართა ერთგულება მთავრის ოჯახისადმი, აღასრულეთ, რასაც გიბრძანებენ როგორც ღვთიური, ისე კაცობრული კანონები თქვენზე დაყენებულ მთავრისადმი და ამით დააგვირგვინებთ და სამარადისოდ განამტკიცებთ მისთა საქმეთა თქვენის შთამომავლობისათვის. ამგვარად, თუ აღასრულებთ თქვენს ურთიერთშორის დამოკიდებულებას, გაიგებთ კეთილ მართვა-გამგეობის ფასსა და იხილავთ თქვენს თავს ბედნიერად.

ამ აქტით გამოვხატავ უმაღლეს ნებასურვილს, რათა ჩემის სამთავროს მართვა-გამგეობა გადაეცეს ჩემს შვილს დავითს, ამით სრულიად დაჯილდოებულად ვთვლი თავს და გულსავსებით თქვენთან ერთად ვთხოვ უზენაესს, მიანიჭოს მას ძალა და მადლი კეთილად ზიდოს მისი ახალი ტვირთი, ხოლო მე ვნუგეშობ იმით, რომ ჩემის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ტკბილად გავატარებ, და ჩემს წმინდა მოვალეობადა ვთვლი მარადჟამ ერთგული ქვეშემრდომი ვიყვე ხელმწიფე იმპერატორისა, რისთვისაც სულიერი ძალა ჩემი შეინარჩუნებს თვისს მხნეობას ხორციელ ძალზე უმეტესად.

ეს აქტი უნდა დაცულ იქნეს მთავრის საქმეებში, ხოლო სამეგრელოს უზენაეს მართვა-გამგეობას ებრძანება ამას პირი ყოვლად უსამღვდლოების ჭყონდიდელ გიორგის საშუალებით დაურიგოს ყველა ეკლესიას მთელის სამეგრელოს ერისათვის გამოსაცხადებლად".

ეს მიმართვა საზოგადოებისადმი მთავრის ლევან დადიანისა მინდოდა დამებეჭდა აქ ქართულად ისე, როგორც ის იყო დაწერილი და წაკითხული გიორგი ეპისკოპოსისაგან, მაგრამ იმის პირი ვერ ვიშოვე ვერც საეპარქიო კანცელარიაში ვერც ეკლესიებში, რომელთაც ის მიმართვა დაურიგდათ მრევლთათვის წასაკითხად და ამიტომაც მომყავს ეს მიმართვა აქ რუსულ ენაზე, ისე, როგორც ის არის დაბეჭდილი არხეოგრაფიის კომისიის აქტებში.

**შენიშვნა** – ამგვარად, როგორც ი. მეუნარგია გადმოგვცემს, მიმართვის ქართული ტექსტიც არსებულა. აქ მოყვანილი თარგმანი შესრულებულია ჩვენს მიერ – **გამომცემელი.**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

"ილორის" დებიუტანტები

## ზაალ ჯალაღონია



*დაიბადა 1981 წლის 24 აპრილს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში.*

*დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი, ფილოლოგიის განხრით (ქართული ენა და ლიტერატურა). შემდეგ დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა. არის ფილოლოგიის მაგისტრი.*

*გამოცემული აქვს პოეტური კრებული "დაბადებული ემბრიონები" და მეცნიერული ნაშრომი "ოთარ ჭილაძის "გოდორი" – პრობლემათა სფერო".*

*გაზეთ "ილორის" მკითხველებს პირველად ვთავაზობთ ახალგაზრდა პოეტის მიერ მეგრულ ენაზე შექმნილ ლექსებს, რომელიც ავტორმა რედაქციაში გამოგვიგზავნა.*

### მარგალც ნინა გოჭყოლადუ

მარგალც ნინა გოჭყოლადუ,
ორაგადე დოუთირუ.
ღვანწის ართიქ ქოჭკადუნი,
მაჟირაქი მოუთირუ.
გერე ზისხირ სქირაფილი,
გაძიცალო გინორთელი.
ირფელ რჩქინა დინაფილი,
დუდიშ ტვინი მონორთელი.
ათაში მუქი დარაგუ,
არძა დუცუ მინოხენი.
ქარ-ბორია არაგუ,
ზღვა სორე კინოხენი.
რჩქინათ იჩუალუდუა
ასე მუდგას ბთქუანქუნი:
ცაშა ქინჭუაფუქუდა
მერტახუნა სუასუნი.
ჩიჩიე დო ჩაჩანეფი
ათაში მუშენი იფაფუ.
სქანი ორქოშ ნაჭარეფი
მიშ ზუკოლით ირღვაფუ.
ისტორიას გითირანა,
თესი მუჭო მიარჩქვანი.
შხვეფ უმოსთ იკვირანა,
სო იძახუქ მიაშქვანი.
ვავა, ლიბას ვაგშამირთას
ლ-იყი დი მ-რენია.
ათას ჭყანას გიქშაიღანც
თე ჩიება მურენია.
ქორთუეფიშ ონკორალი,
მანგარი ლასიშ ტირანია
არმენეფიშ მოგონილი –
ართიანი ყვილანია.
ვარა მიქი გიმოდვესი
ბუაში სკუალებს მარგალი?
ჩქი კოლხობა მიყორდესი,
ლინჯ-ფულანდიში თართალი.
მუ სინდიდრე ავოტეთუ,
ათე ფირქებქ შქასი გოფრთუ.
ჩქინ საწყალი აფსირტეში
ჩხე ზისხირი ტანსი გობდგუ,
გუბაზი მაცანცალუაფუ,
ხობწყარ პისი გეყვილირი.
ეთი დღაშე ირთუაფუ
წყარ ზისხირო გეხვილირი.
ჯვეში ალეგორიარე.
ქინოსკიდეს მარჩხას,
კუქ გინატუ მორიალე,
იქ იშენით ქაჩამ.
მროველს მუსუ უჯერდით,
თქუო ბონი დო მართალი.
ქუჯიში დიხა მუშენირდუ
ფარნავაზიშ გართალი!

X X X

ჭვემა მოურც განო-განო,
ცას მუნაფა გართუაფუ.
გოთანდუნო ვარე სკანო!
ბორჯის თენა ანჭუაფუ!
ანწი ვენდა სი მოჯგირეს,
თეშით ბნელ გაქ თქუალირი.
თინა გორ მუთ ოდინენი,
მუთ სქან ორდუ ჩუალირი.
სქან წოხოლე მითინ ვარდუ
მიდგა რჩქინას მერჩაბდუნი.
გენათუა გითქუალუ,
მუუამს ქირსექ გეთანდუნი.
ბრელ გიყუნსუ მანჯარიშე,
შხან-ნწალარით გომბარილი.
უფალი სქანი ნინაშერე,
ამდღარ დღაშა გოფალირი!

## გვეხმაურებიან ჩვენი მეგობრები

# მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას

ჩვენი გაზეთის 26 ოქტომბრის ნომერში (№90) გამოქვეყნდა სააგენტო **საქინფორმის** ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გალის რაიონის მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამენ პრესის სიმწირის გამო. აღმოჩნდა, რომ ეს მთლად ასე არ არის, რაზედაც გამოგვეხმაურა გაზეთ **"Гал"**-ის მთავარი რედაქტორი, ჩვენი კოლეგა-მეგობარი, ბატონი **ნუგზარ სალაყაია**.

**"Действительно, это серьезная тема, но не могу согласиться с автором, якобы в. Гал пресса не поступает"**, გვაუწყებს ბატონი ნუგზარი. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მათ ქალაქში პერიოდულად შემოდის რესპუბლიკური გაზეთები **"Республика Абхазия"** (რუსულ ენაზე), **"Апсны"** (აფხაზურ ენაზე), პარტიული გაზეთი **"Единая Абхазия"** (რუსულ ენაზე), ასევე დამოუკიდებელი რესპუბლიკური გაზეთები **"Эхо Абхазии", "Нужная"** და **"Чегемская правда"**. თუ ამას დავუმატებთ სამენოვან გაზეთ **"Гал"**-ს (გარდა ამ გაზეთისა, ყველა სხვა გაზეთი უფასოდ ურიგდება გალის მოსახლეობას, რადგან მათი შეძენის ხარჯებს გალის ადმინისტრაცია ანაზღაურებს), გამოდის, რომ გალის რაიონში პრესის გავრცელების პროცესი ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ამდენად, ჩვენი აფხაზი თანამემამულეები სრულიადაც არ იმყოფებიან ინფორმაციულ ვაკუუმში.

მართალია, გალის რაიონში მაუწყებლობენ აფხაზური ტელეარხები რუსულ და აფხაზურ ენებზე და მუშაობს ინტერნეტი, მაგრამ, ჩვენი აფხაზი კოლეგების აზრით, ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ამიტომ, ახლო მომავალში, გალის რაიონულ ცენტრში გაიხსნება რამდენიმე ახალი საგაზეთო კიოსკი.

სამწუხაროა, რომ აღნიშნული ინფორმაცია **"ილორში"** გამოქვეყნდა სათანადო გადამოწმების გარეშე, მაგრამ ჩვენი აფხაზი კოლეგები დაგვეთანხმებიან, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ელემენტარულ გაუგებრობას და არა იმის სურვილს, რომ ვინმესათვის შეგნებულად გვეტკინა გული. მომავალში კი, მსგავსი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, სასურველი იქნება, რომ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ჩვენს აფხაზ მეგობრებთან, რისი ორმხრივი სურვილიც აშკარად სახეზეა.

პატივისცემით,
**როლანდ ჯალაღანია,**
**გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი**



## სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სსრკ შინსახკომისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გაერთიანებისთანავე თავდაცვის სახალხო კომისარიატსა და სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ევაკუაციის საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოსკოვიდან სამთავრობო სტრუქტურების ნაწილობრივი ევაკუაციის თაობაზე: კუიბიშჩევში, ჩალოვსკში, უფაში, სარატოვში, კიროვში, ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკში, ყაზანში, პენზაში, მოლოტოვში (პერმი) და ულიანოვსკში.

ძველი შინსახკომის ცენტრალური აპარატის 10 ათასი თანამშრომლიდან ევაკუაცია ეხებოდა 7 ათასს, სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის 11 ათასი თანამშრომლიდან კი 7.500 თანამშრომელს. სულ მოსკოვიდან გაიხიზნა 33 ათასი ადამიანი – შინსახკომის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები. ამრიგად, 1941 წლის მიწურულს სსრკ შინსახკომის მოსკოვის ცენტრალურ აპარატში სულ დარჩა 9 ათასი თანამშრომელი, მათი სახალხო კომისრის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეების **ი.ი. მასლენნიკოვისა** და **ს.ნ. კრუგლოვის** ფრონტებზე წასვლის შემდეგ შინსახკომის ქვედანაყოფების მუშაობაზე საკურატორო სფეროები მოადგილეებს შორის გადანაწილდა შემდეგნაირად:

**სახკომის პირველი მოადგილე ვ.ნ. მერკულოვი**: მეორე (კონტრდაზვერვა) და მესამე (საიდუმლო-პოლიტიკური) სამმართველოები, მოსკოვის კრემლის კომენდანტის სამმართველო, მესამე საიდუმლო განყოფილება (ეხებოდა ჩხრეკები, დაპატიმრებები, საგარეო თვალთვალი), პირველი განყოფილება (სამთავრობო დაცვა) და სამობილიზაციო განყოფილება.

აქვე გაცნობებთ, რომ 1943 წლის 14 აპრილს სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სრულიად საიდუმლო დადგენილებით ოპერატიულ-ჩეკისტური სტრუქტურები კვლავ გამოეყო სსრკ შინსახკომს და მერკულოვი კვლავ გახდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი.

**ბ.ზ. ქობულოვი**: სატრანსპორტო და ეკონომიკური სამმართველოები და მე-6 საიდუმლო განყოფილება (სახელმწიფო დაცვა).

**ვ.ს. აბაკუმოვი**: განსაკუთრებულ განყოფილებათა სამმართველო.

1943 წლის 21 აპრილს, გრიფით **"განსაკუთრებით საიდუმლო"** (განსაკუთრებული მნიშვნელობის) სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცა №3222 სს/ოვ ბრძანება, რომლის თანახმადაც განსაკუთრებულ განყოფილებათა სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო **"სმერში"** (რუსული აბრევიატურა სიტყვებისა **"Смерть шпионам"**). თავიდან მისთვის უნდოდათ დაერქმიათ **"სმერინში"** (რუსულად **"Смерть иностранным шпионам"**). ამ სტრუქტურას სათავეში ჩაუდგა აბაკუმოვი.

**ი.ა. სეროვი:** მილიციის (მათ შორის მოსკოვის), სახანძრო დაცვის, ადგილობრივი საჰაერო დაცვის მთავარი სამმართველოები, 1-ლი საიდუმლო განყოფილება (საადრიცხვო-სტატისტიკური), ციხეების სამმართველო, ინტერნირებულთა და სამხედრო ტყვეების საქმეთა სამმართველო, სახელმწიფო არქივების სამმართველო და გამანადგურებელ ბატალიონთა შტაბები.

**ა.ნ. აპოლონოვი:** ყველა სამხედრო სამმართველო.

**ბ.ბ. ჩერნიშოვი**: საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო (გულაგი), იმ საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო, რომელიც რკინიგზის ხაზების აგებაზე იყო დასაქმებული, სატყეო სისტემაში მომუშავე პატიმართა ბანაკების მთავარი სამმართველო, სამეურნეო სამმართველო, სარკინიგზო და საწყლოსნო გადაზიდვები.

**ლ.ბ. საფრაზიანი**: აეროდრომების მშენებლობის მთავარი სამმართველო, გზების მშენებლობის მთავარი სამმართველო და მთავარჰიდრომშენი.

**ა.პ. ზავენიაგინი**: სამთო-მეტალურგიულ სისტემაში დასაქმებული საპატიმრო ბანაკების მთავარი სამმართველო, მთავარმრეწვმშენი, უდიდესი საამშენებლო ორგანიზაციები **"შორეულმშენი"** და **"კუიბიშჩევმშენი"**.

1945 წელს ბერია წაიყვანს **ზავენიაგინს** სპეციალურ **"ატომურ"** კომიტეტში, სადაც იგი გახდება სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის **ვანნიკოვის** მოადგილე, რომელიც ასევე იყო ჩართული საბჭოთა კავშირის **"ატომურ პროექტში"**.

**ბ.პ. ობრუჩნიკოვი**: კადრების განყოფილება.

ბერიამ **"თავისთვის"** დაიტოვა პირველ სამმართველოზე (საზღვარგარეთის დაზვერვა, რომელსაც **პ.მ. ფიტინი** ხელმძღვანელობდა), განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილზე (რომელსაც ხელმძღვანელობდა **ლ.ე. ვლოძიმირსკი**), მე-2 (ოპერატიული ტექნიკის), მე-4 (განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო, საგანგებო კავშირგაბმულობა) და მე-5 (ღრმა დაშიფვრის) საიდუმლო განყოფილებებზე, განსაკუთრებული კრების (რომელსაც **ვ.ვ. ივანნიკოვი** ხელმძღვანელობდა), სახალხო კომისართან არსებული საკონტროლო-საინსპექტორო ჯგუფზე (**ნ.ი. პავლოვის** ხელმძღვანელობით), საფინანსო-საგეგმო სამმართველზე და შინსახკომის სამდივნოზე (**ს.ს. მამულოვის** ხელმძღვანელობით) კონტროლი.

აი, რას წარმოადგენდა 1941 წლის ივლის-1943 წლის აპრილის ნიმუშის საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი ბერია ყოველდღიურად არ აკონტროლებდა მისი მოადგილეების საკურატორო დარგებში მიმდინარე სამუშაო პროცესებს, მას მაინც ხელი ედო შინსახკომის ვეებერთელა სისტემის მუშაობის მაჯისცემაზე. სხვაგვარად, იგი ხომ ლავრენტი ბერია არ იქნებოდა.

ამასთან, თუ შინსახკომის ხელმძღვანელთა პრობლემები მხოლოდ მათი საკურატორო დარგებით შემოიფარგლებოდა, ბერიას უამრავი საზრუნავი გააჩნდა შინსახკომის სისტემის გარეთაც. 1943 წლის 21 აგვისტოდან იოსებ სტალინმა, სხვათა შორის, ბერია შეიყვანა სსრკ სახკომსაბჭოს იმ კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც ევალებოდა საბჭოთა სახალხო მურნეობის აღდგენა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაწმენდილ რეგიონებში (თავმჯდომარე – გიორგი მალენკოვი, წევრები: ლავრენტი ბერია, ანასტას მიქოიანი, ვოზნესენსკი, ანდრეევი).

რაც შეეხება სსრკ შინსახკომს, ბერიამ პირადი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა კავშირგაბმულობის საგანგებო ხაზი, რადგან კარგად უწყოდა მისი დიდი მნიშვნელობა. ამ ხაზის მეშვეობით ხომ ახლა ფრონტიდან სამხედროები ესაუბრებოდნენ სტალინს და პირიქით – სტალინი ამყარებდა ფრონტებთან კავშირს. ამიტომ, სრულიადაც არ იყო გასაკვირი, რომ იოსებ სტალინის კავშირს ფრონტებზე განლაგებულ სამხედრო ქვედანაყოფებთან უზრუნველყოფდა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. ამიტომ, შინსახკომის 1941 წლის 2 ოქტომბრის №001430 ბრძანებით საგანგებო კავშირგაბმულობის სისტემა ცალკე ქვედანაყოფად შეუერთდა შინსახკომს როგორც სამთავრობო კავშირგაბმულობის სპეციალური ხაზი.

ბერიას ინიციატივით კავშირგაბმულობის ეს ხაზი თანდათან ვითარდებოდა და ახალ-ახალ აბონენტებს იერთებდა.

ამრიგად, 1942 წლის 27 მარტს სტალინმა წერილობითი ნებართვა მისცა ბერიას იმის თაობაზე, რომ საგანგებო კავშირგაბმულობის ხაზით ესარგებლათ მოქმედი ფრონტების ზურგის ხელმძღვანელობას, შემდეგ კი საკუთარი ინიციატივით ჩართო ამ ხაზში ორიოლის, სტალინგრადის და ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო-საჰაერო ოლქების სარდლები. 1942 წლისათვის კი, ასევე ლავრენტი ბერიას ინიციატივით, კავშირგაბმულობის საგანგებო ხაზებით უკვე სარგებლობდნენ ფრონტის წინა ხაზებზე განლაგებული არმიების სარდლები.

სსრკ შინსახკომის კიდევ ერთ ქვედანაყოფზეც უნდა მოგახსენოთ. როგორც სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ბერია პასუხისმგებელი იყო ყოველი სახის იარაღის, მათ შორის ნაღმმტყორცნების წარმოებაზეც. ამ იარაღს, მიუხედავად მისი სიმარტივისა და მაღალეფექტურობისა, დიდ სამამულო ომამდე საბჭოთა სამხედროთა დიდი ნაწილი არ აფასებდა სათანადოდ. ახლა კი, ფრონტს სჭირდებოდა ამ სახეობის იარაღის მართლაც რომ განუსაზღვრელი რაოდენობა. ისევე, როგორც ყოველი სხვა სახის იარაღი.

1941 წლის 5 სექტემბერს ბერია სსრკ შინსახკომის შემადგენლობაში ქმნის ახალ, მე-7 საიდუმლო განყოფილებას, რომელსაც ევალება მკაცრი კონტროლის დაწესება საბჭოთა კავშირში ნაღმმტყორცნების წარმოებაზე. ამ სამსახურმა, რომელსაც **ი.მ. ტკაჩენკო** ხელმძღვანელობდა, 1942 წლის 14 ნოემბრამდე იარსება. სწორედ ამ სამსახურის დიდი დამსახურება გახლდათ ის, რომ მიუხედავად ომის წლებში ძალზე შემცირებული სამრეწველო პოტენციალისა, საბჭოთა კავშირში ნაღმმტყორცნების წარმოება თითქმის ოთხჯერ გაიზარდა 1940 მშვიდობიან წელთან შედარებით და გამოშვებული იქნა ამ სახის 165 ათასი ერთეული.

სწორედ ეს გახლდათ ლავრენტი ბერიას მუშაობის სტილი, რომელზეც ყველაზე შთამბეჭდავად ციფრები მეტყველებენ.

აი, როგორც აღგვიწერს ბერიას მუშაობის სტილსა და მეთოდებს ბორის გლების ძე მუზრუკოვი. საბჭოთა მრეწველობის ამ ჭეშმარიტად თვალსაჩინო ორგანიზატორის, სოციალისტური შრომის ორგზის გმირის სახელს მე ახლა პირველად ვახსენებ, მაგრამ არა უკანასკნელად.

სოციალისტური შრომის გმირის პირველი ვარსკვლავი მან 1943 წლის 20 იანვარს მიიღო, ტანკების წარმოებისათვის, როგორც ქარხანა **"ურალმაშის"** გენერალურმა დირექტორმა. მეორე ვარსკვლავის კავალერი კი 1949 წლის 29 ოქტომბერს გახდა, როცა, როგორც №817 კომბინატის ხელმძღვანელმა, მიიღო პლუტონიუმი პირველი ატომური ბომბისათვის (რდს-1).

1955 წლის ივნისიდან 1974 წლის მარტამდე ბორის გლების ძე იყო ატომური იარაღის წარმოების უდიდესი ცენტრის **"არზამას-16"**-ის დირექტორი. მას ასევე ერქვა საკონსტრუქტორო ბიურო-11, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა ექსპერიმენტული ფიზიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. მაგრამ ბერია მას იცნობდა ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე, სატანკო წარმოებიდან.

ასე რომ, მე ახლა მოვიყვან ციტატას მუზრუკოვზე შემქნილი წიგნიდან **"მთელ ძალას სამშობლოს შევალევ"**, რომელიც ქალაქ საროვში (**"არზამას-16"**) გამოიცა 2004 წელს. ამ წიგნში მოთავსებულია სხვა გამოჩენილი ფიზიკოსის ნ.ზ. ტრემასოვის მოგონებაც, რომელიც იხსენებდა, თუ რას მოუთხრობდა მას მუზრუკოვი ომის წლებში ჩატარებული მუშაობის თაობაზე:

**"პირველ დღეებში ტანკების წარმოებას ხელმძღვანელობდა მოლოტოვი. საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა... საავიაციო დარგის სპეციალისტებს, რომელთა მუშაობასაც ბერია კურირებდა, ყველაფერი ჰქონდათ: ელექტროენერგიაც, საწვავიც, ნედლეულიც... ტანკების მწარმოებლები კი ყველაფრის ნაკლებობას უჩიოდნენ. "ჩვენ, – ამბობდა ბორის გლების ძე, – ვთხოვეთ მალიშევს (ტანკების წარმოების სახალხო კომისარი, რომელიც მოგვიანებით ბერიამ "ატომურ" სპეცკომიტეტში წაიყვანა – ს.კ.) რათა შეეცვალა ჩვენი შეფი, და მან შეგვიცვალა... სატანკო წარმოების შეფად დაინიშნა ბერია.. მაშინვე ყველაფერი გამოკეთდა, გაგვიჩნდა ელექტროენერგიაც, ნედლეულიც, სათბობიც, სურსათიც..."**

**მაშ ასე, ომის მძიმე წლებში ბერია ხელმძღვანელობდა სატანკო წარმოებას. ამ პიროვნების თაობაზე დასმულ შეკითხვაზე ბორის გლებოვმა უპასუხა (1965 წელს – ს.კ.): "რა უნდა სთქვა ადამიანზე, რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა და რომელთანაც შენ ურთიერთობა გქონდა როგორც მკაცრ, მომთხოვნ და სამართლიან ხელმძღვანელთან? პირადი შთაბეჭდილება არ დამრჩენია, რაც შეეხება საქმეს, იგი თავისი საკურატორო სფეროს მცოდნე გახლდათ. მან მკაცრად მოპყრობა იცოდა, მაგრამ არც დახმარებაზე იხევდა უკან. არ მახსოვს, რომ მას ოდესმე სძინებოდეს ან სამუშაო ადგილზე არ ყოფილიყოს. როცა არ უნდა დაგერეკა, ყურმილს პირადად იღებდა (საინტერესოა, როდისღა ახერხებდა იგი ქალებთან დროის ტარებას? – ს.კ.)..."**

უნდა აღვნიშნო, რომ მიქოიანმა სული წაიწყმინდა, როცა თავის მოგონებებში აღნიშნა, რომ ბერია აბეზღებდა სტალინთან მოლოტოვს როგორც ტანკების წარმოების საქმეში გაუთვითცნობიერებელს და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ეს სფერო თავად **"დაეთრია"**. მაგრამ, ახლა დავრწმუნდით, რომ მიქოიანი უსინდისოდ ცრუობს და ბერიას ტანკების წარმოებაზე კურატორობა თავად არ მოუთხოვნია.

ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერი ნათელია!

მაგრამ, აი, რა უნდა შევნიშნოთ... მუზრუკოვი ადასტურებს, რომ ბერია ტანკების წარმოების საქმეში საკმაოდ კომპეტენტური იყო. მაგრამ, ბერია იყო კომპეტენტური იმდენად, რამდენადაც ამ დარგის კურატორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი ამავე დროს კურირებდა საავიაციო წარმოებას, შეიარაღების მრეწველობას, ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვებას, კავშირგაბმულობას და კიდევ ბევრ სხვა რამეს...

მაგრამ იგი ხომ **პროფესიონალიც** იყო – საკუთარ, ჩეკისტურ საქმეში! და ამ საქმეში უძლიერესმა პროფესიონალმა სუდიოპლატოვმა ბერიაში მაშინვე აღმოაჩინა მასზე დიდი პროფესიონალი. და ეს მაშინ, როცა დაზვერვა და კონტრდაზვერვა სრულიადაც არ გახლდათ ბერიას პროფესიონალიზმის მწვერვალი. საბოლოო ჯამში იგი იყო მართვის საქმის განუმეორებელი პროფესიონალი.

ამასთან, გამორჩეულად ადამინურიც!

და რაც ნიშანდობლივია, ძვირფასო მკითხველო, ნ.ზ. ტრემასოვის შემდგომ მოგონებებშიც სჭარბობს ის ცილისწამება, რაშიც გახვეულია ბერიას სახელი და ღირსება, რაც რეალობის აშკარა საპირისპიროა.

ნამდვილად სამწუხაროა, რომ ასეთი პატივცემული ადამიანი მიდის უკადრისზე...

ნიკოლოზ ზაქარიას ძე ტრემასოვს ბერია თვალთაც არ უნახავს, მაგრამ **"კარგად იცის"** რომ ლავრენტი ბერია ბოროტმოქმედია! სხვაგვარად როგორ შეიძლება – მის უმსგავსო საქმეებსა და ღალატზე ხომ ამდენი რამ დაიწერა – ისევე, როგორც ბევრი რამ დაიწერა **"კეთილშობილ"** გიორგი ჟუკოვზე, რომელსაც სტალინი უფლებას არ აძლევდა, რომ ჯარი განგაშით წამოეშალა და ღირსეულად დახვედროდა შემოსეულ მტერს...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# საქართველოს ენერგეტიკა 1992-2010 წლები: დაუსჯელი დანაშაული

**(ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო "დრო და სივრცე" სპეციალურად "საქინფორმისათვის")**

ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებით საქართველო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: მისი მომავალი დღეს კვლავ მთლიანად დამოკიდებულია აშშ-ზე, ხოლო ეკონომიკისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკიდურესად დამთრგუნველია.

აღსანიშნავია, რომ 1992-2010 წლებში საქართველოს ხელისუფლება:

1. დაკავებულია არა მარტო აშშ-ის მთავრობის ქება-დიდებით, არამედ აშშ-ის მხრიდან გამოყოფილი კრედიტების წყალობით წარმატებით ასრულებს ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობისა და სახელმწიფოებრიობის მიზანმიმართული განადგურების ამოცანას;

2. ერთის მხრივ, მუდმივად აკრიტიკებს რუსეთის ხელისუფლებას, რაც ხშირად სცილდება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმებს და, მეორეს მხრივ, რუსეთმა ჩვენი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით შეძლო დაესაკუთრებინა საქართველოს ძირითადი ფლაგმანი საწარმოები ენერგეტიკაში, გაზიფიკაციაში, წყალმომარაგებასა და საქართველოს ეკონომიკის სხვა სტრატეგიულ დარგებში.

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ საქართველო შეწყვეტს არსებობას, თუ მოსახლეობა რეალურად არ შეიგნებს იმ საფრთხის მასშტაბურობას, რომელიც მას ემუქრება.

ჩვენს მკითხველებს ვაწვდით ეკონომიკურ დანაშაულობათა ქრონოლოგიას 1992-2010 წლებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგში - სახელმწიფო ენერგეტიკაში.

**მცირე ჰესები**

ვინ, როდის და რატომ დართო ნება სახელმწიფო ენერგობლოკების პრივატიზებას, რომლებიც იმ პერიოდში არსებობდა და რომელთა გასხვისება 1992 წლიდან 2010 წლის 15 ნოემბრამდე კონსტიტუციით აკრძალული იყო? 1993-1994 წლებში ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ქვეყნის ე. წ. მცირე ჰესების პრივატიზება.

1992 წლამდე მცირე ჰესები მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს აგრარულ კომპლექსს და არა ერთიან ენერგეტიკულ საწარმოს - **"საქენერგოს"**.

მათი უმრავლესობა, პრაქტიკულად, მუშა მდგომარეობაში იყო, ჯამური სიმძლავრე კი შეადგენდა არანაკლებ 700 მეგავატს.

1992 წლამდე საქართველოს ენერგოსისტემას მცირე ჰესების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე პრაქტიკულად მოთხოვნა არ იყო. პრივატიზებამდე მათ, ფაქტობრივად, თითქმის არც უმუშავიათ.

1993-1994 წლებში საქართველოს ენერგოგენერაციის სექტორის, კერძოდ, მცირე ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ჩვენს ქვეყანაში სარგებლობდა 100%-იანი მოთხოვნით.

იმდროინდელი მთავრობის სხდომებზე ე. შევარდნაძე ღიად აცხადებდა, რომ, თუ არ მოხდებოდა მცირე ჰესების პრივატიზება, მათ სრულიად გაძარცვავდნენ და ქვეყნისათვის უმოქმედოდ აქვევდნენ. მას **"ავიწყდებოდა"**, რომ მცირე ჰესების, როგორც სახელმწიფო საწარმოების, ამუშავება ხელისუფლებისთვის იმ დროისთვის პრობლემა არ იყო. ამასთან, სახელმწიფო გაცილებით უფრო დიდ მოგებას მიიღებდა და მომგებიანი იქნებოდა სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით.

მცირე ჰესები გაიყიდა კუპონებზე. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტი შეივსო 1 მილიონი დოლარით. ეს მაშინ, როცა ნებისმიერი ჰესის, მათ შორის, მცირე ჰესის, სიმძლავრის ერთი მეგავატის საბაზრო ღირებულება არა ნაკლებ 1 მილიონ აშშ დოლარია.

მცირე ჰესები შეისყიდეს საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფმა მაღალი თანამდებობის მოხელეებმა ან მათი ნდობით აღჭურვილმა (ნათესავებმა) ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა.

1992-2003 წლებში ყველა მცირე ჰესი ნორმალურად ფუნქციონირებდა. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია სტაბილურად მიეწოდებოდა ქვეყნის ენერგოსისტემას. იმავე წლებში მცირე ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულება, უმრავლეს შემთხვევაში, 100%-ით იფარებოდა. ეს მაშინ, როცა სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვის საშუალო მაჩვენებელი, თუ გავითვალისწინებთ ენერგოტარიფის არაერთჯერად ზრდას, არ აღემატებოდა 16%-ს.

აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლება 1992-2003 წლებში არ იყო დაინტერესებული სახელმწიფოს ენერგოგენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული და ქვეყნის ენერგოსისტემისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების სრული და დროული დაფარვის პროცესის ნორმალიზაციით.

2003-2010 წლებში ქვეყნის მცირე ჰესები შეუფერხებლად ფუნქციონირებს როგორც ტექნიკური, ასევე, ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით. მაგრამ 2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც მ. სააკაშვილის ხელისუფლების ეგზეკუციური ხასიათის ზემოქმედების შედეგად, მათი მფლობელები იძულებულები გახდნენ, **"საჩუქრად"** გადაეცათ ეს ობიექტები სახელმწიფოსთვის, რომელმაც ისინი ხელმეორედ გაასხვისა ახალ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, უმეტესად რუსეთის მხარის წარმომადგენლებზე, თანაც არა მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით, არამედ - მნიშვნელოვნად ნაკლებ ფასად.

ისმის ლოგიკური კითხვა: რისთვის დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებას მცირე ჰესების ხელმეორედ პრივატიზება, მათი ნაციონალიზაციის შემდეგ?

პასუხი:

1. ერთის მხრივ, მცირე ჰესების პრივატიზებით იგი შეეცადა, **"გამოეხატა"** მზრუნველობა თავისი უახლოესი თანაგუნდელების მიმართ, რითაც გააუმჯობესა მათი ფინანსური მდგომარეობა, და ამით დააკაბალა ისინი, როგორც მარიონეტები საქართველოს სახელმწიფოს ნგრევის პოლიტიკის განხორციელების საქმეში;

2. მეორეს მხრივ, ამგვარი ქმედება მიმართული იყო იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომ მხოლოდ კერძო მფლობელს შეუძლია მცირე ჰესების ამუშავება და ამ დარგში ფინანსური წესრიგის დამყარება.

**რატომ ვერ დამყარდა ფინანსური დისციპლინა სახელმწიფო ენერგოსისტემის ობიექტებზე 1992-2003 წლებში?**

ე. შევარდნაძის მმართველობის დროს მისი ხელმოწერით გამოიცა არა ერთი ნორმატიული აქტი, რომელთა საფუძველზე კატეგორიულად იკრძალებოდა ელექტროენერგიის მიწოდება, კერძოდ, იმ იურიდიულ პირთათვის, რომლებიც სრულად და დროულად არ ფარავდნენ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას, მათ შორის, ყველაზე მსხვილ მომხმარებელს სახელმწიფო საწარმო **- სს "თელასს"**.

მაგრამ ხსენებული აქტების მოთხოვნები, როგორც წესი, არ სრულდებოდა. არადა, ხელისუფლებას გააჩნდა ყველა აუცილებელი და საკმარისი ბერკეტი, რათა ე. შევარდნაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების სფეროში დაემყარებინა კანონიერება, ანუ საფინანსო დისციპლინა, რაც განაპირობებდა სახელმწიფო ენერგეტიკის არა მარტო განვითარებას, არამედ საფუძველს ჩაუყრიდა ამ დარგში არსებული სატარიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციას და ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირებას. ამას გარდა, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, აღნიშნული განაპირობებდა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის სტაბილურობას. უდავოა, რომ კერძო მესაკუთრის ხელთ არსებული ენერგოსაწარმოს მართვის ბერკეტების ეფექტიანობა ვერ შეედრება ანალოგიურ ბერკეტებს, რომლებსაც ფლობს სახელმწიფო.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ შეგნებულად არ მიმართა მის ხელთ არსებულ მართვის რეალურ და საკმარის საშუალებებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოს ენერგოსექტორში დაემყარებინა სათანადო ტექნიკური და საფინანსო დისციპლინა.

ე. შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ზემოთ ხსენებული აქტები ხასიათდებოდა სამართლებრივი პარადოქსებით. კერძოდ, ამ აქტებში მითითებული იყო, რომ სახელმწიფო სტრატეგიული დანიშნულების ყველა ობიექტს ელექტროენერგია უწყვეტად უნდა მიეწოდებოდეს. მაგრამ იმავე გადაწყვეტილებებში არ იყო გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნა, რომლის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუგვიანებლად, ყოველთვიურად გამოყოფილიყო საჭირო თანხები ამ ობიექტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის მიზეზები აუცილებლად უნდა შეესწავლა და გამოეძია კონტროლის პალატას, პროკურატურას, შსს-ს და სუს-ს, რის საფუძველზეც ურჩი გადამხდელების მიმართ განხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული, აუცილებელი და საკმარისი ზომები კანონიერების დასამყარებლად.

მაგრამ არც პროკურატურა, არც სხვა შესაბამისი სტრუქტურები ოფიციალურად არ ჩარეულა ამ პროცესებში. რაც უფლებას გვაძლევს, განვაცხადოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის სფეროში ქაოსის დამკვიდრებაში ქვეყნის მაკონტროლებელ ორგანოებს პირდაპირ ედებთა ბრალი.

ვფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დასახული ღონისძიებების ბუტაფორიულობით, რაც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა არსებულ სიტუაციაზე. ჩანს, რომ ე. შევარდნაძე ცდილობდა, დაერწმუნებინა ქვეყნის მოსახლეობა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკაში კანონიერების დამყარება მოხდება მხოლოდ მათი პრივატიზების შედეგად და, უკეთეს შემთხვევაში, უცხოეთის ამა თუ იმ იურიდიული პირის მიერ, რომელზეც სახელისუფლო ბიუროკრატიული აპარატი ვერ შეძლებდა გავლენის მოხდენას. საქართველოს იმ დროის ხელისუფლების უმაღლესი რანგის პირები, ე. შევარდნაძე აცხადებდნენ, რომ ქვეყნის ენერგეტიკაში არსებული განუკითხაობა გამოწვეულია გარდამავალი პერიოდით, იმით, რომ ქვეყანა გადავიდა კაპიტალისტურ წყობილებაზე, მისი ენერგეტიკა კი რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ დროს მათ და, განსაკუთრებით, ე. შევარდნაძეს, **"ავიწყდებოდა"**, რომ ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში (მაგალითად - საფრანგეთში) ენერგოსისტემა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაა. ნიშანდობლივი შექმნილი მდგომარეობის გამო სახელმწიფო ენერგოობიექტები - საწარმოები, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ენერგეტიკის ძირითადი სიმძლავრეების ბირთვი იყო უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში, მათ შორის, **"ენგურჰესი"** და **"თბილსრესი"**, არ გააჩნდათ საჭირო და აუცილებელი მატერიალური ბაზა და ფინანსური სახსრები არსებული სიმძლავრეების გასარემონტებლად და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

პარადოქსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ე. შევარდნაძის ხელისუფლება ყოველმხრივ აჭიანურებდა სახელმწიფო ენერგოობიექტების ფართომასშტაბიან პრივატიზებას, გამონაკლისი იყო მცირე ჰესებისა და სს **"თელასის"** აქციების 75%-ის პრივატიზება.

1992-2003 წწ. ქვეყანაში არსებული **"უშუქობა"** გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყნის ენერგოსისტემის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ფაქტობრივად, არალეგულარად მიედინებოდა ექსპორტის სახით რუსეთსა და თურქეთში. ეს არაერთხელ გამოავლინა საქართველოს კონტროლის პალატამ, როცა მას თავმჯდომარეობდა რ. შავიშვილი, რაზეც გენერალური პროკურატურა, სუს და შსს არანაირად არ რეაგირებდა, ეს კი 1992-1999 წწ. მოქმედი სსსკ-ით სამშობლოს ღალატად კვალიფიცირდებოდა, ხოლო 2000-2003 წწ. სსსკ-ით შეესაბამებოდა სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულს.

**''საქენერგოს'' ლიკვიდაცია**

1992 წელს **"საქენერგოს"** ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა **"საქენერგო"**. აღნიშნული სამინისტრო გაუქმდა 1993 წლის ბოლოს. 1996 წელს შეიქმნა ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც დღემდე არსებობს და მისი ფუნქციური დანიშნულებაა სამამულო ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

1995-1999 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის **"დაჟინებითი მოთხოვნით"** ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა სახელმწიფოს ერთიანი ენერგოსაწარმოს **"საქენერგოს"** რეორგანიზაცია: მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სახელმწიფო ენერგოორგანიზაცია.

ეს გადაწყვეტილება მოტივირდებოდა **"საერთაშორისო სავალუტო ფონდისა"** და ე. შევარდნაძის მიერ, იმით, რომ საქართველოს სახელმწიფოს **"საქენერგოს"** სახით არ უნდა ჰქონოდა ენერგომონსტრი, რაც არა ერთხელ იყო დეკლარირებული მასმედიაში.

მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო კარგავდა მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს - მის ხელთ არსებულ ერთიან ენერგოსისტემას, რომლის პროდუქცია სარგებლობდა 100%-იანი მოთხოვნით ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან, რაც, ამავე დროს, არ გამორიცხავდა სახელმწიფოს სახელით ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტის არსებობას, შედეგად კი სახელმწიფო ბიუჯეტი ძლიერდებოდა.

ძნელად დასაჯერებელია, რომ "საერთაშორისო სავალუტო ფონდს" და ე. შევარდნაძეს ეს ყველაფერი არ ჰქონდათ გააზრებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ **"საერთაშორისო სავალუტო ფონდის"** აღნიშნული **"დაჟინებითი მოთხოვნა"** მიზნად ისახავდა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ენერგეტიკის ამჟამინდელ მდგომარეობას, მის გადაცემას რუსეთის საკუთრებაში.

1995 წელს დაარსდა სს **"საქრუსნერგო"**, რომელსაც გადაეცა საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ელექტროქვესადგურების ნახევარი, რაც, ფაქტობრივად, აღმოჩნდა რუსეთის საკუთრებაში. აღნიშნული საწარმო დღემდე ფუნქციონირებს. სს **"საქრუსენერგოს"** დაარსება ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით უგულვებელყო ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მოთხოვნა, რომლის მიხედვით სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ენერგოობიექტები არ ექვემდებარება არც სრულ და არც ნაწილობრივ გასხვისებას.

მაგრამ სამართლებრივი შეფასება მაშინდელი ღონისძიებებისა, რომლებიც განხორციელდა ე. შევარდნაძის მიერ და , ნებით თუ უნებლიეთ, საქართველოს საზიანოდ დაიცვა რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, დღემდე არ მომხდარა.

1996 წელს შეიქმნა სს **"საქენერგოგენერაცია"**. მის ბალანსზე ირიცხებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ყველა ჰესი (გარდა მცირე ჰესებისა) და **"თბილსრესი"**. მას დაეკისრა ხსენებული ენერგოობიექტების მართვა. 1999 წელს სს **"საქენერგოგენერაციას"** გამოეყო მასში შემავალი ყველა საწარმო, რომლებიც გადაკეთდა დამოუკიდებელ სახელმწიფო საწარმოებად (ჰესები - შპს-დ, **"თბილსრესი"** - სს-დ).

**"საქენერგოგენერაცია"** გადაკეთდა სსიპ **"გენერაციად"**, რომელსაც დაევალა სახელმწიფოს კუთვნილი ენერგოგენერაციის საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობა, მაგრამ სამეურნეო, ანუ საწარმო-ფინანსური მართვა.

2006 წელს გაუქმდა სსიპ **"გენერაციაც"**.

1996 წელს შეიქმნა სს **"ელექტროგადაცემა"**. მას დაეკისრა სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ელექტროგადამცემი მაღალი ძაბვის ხაზებისა და ელექტროქვესადგურების საწარმო-ფინანსური საქმიანობის მართვა, **"საქრუსენერგოს"** საქართველოში არსებული საკუთრების გამოკლებით.

სს **"ელექტროგადაცემას"** ფინანსური და, შესაბამისად, ტექნიკური მდგომარეობა არც მაშინაც, როცა მას მართავდნენ ჯერ ადგილობრივი და შემდგომ უცხოელი სპეციალისტები (იგულისხმება ხელმძღვანელობა), და არც ამჟამად, როცა მას კვლავ მართავენ ადგილობრივი სპეციალისტები რეალურად არ გამოსწორებულა.

სწორედ ამიტომ ეს საწარმო, ამჟამინდელი სახელწოდებით **"საქართველოს სახელმწიფო ერთიანი ელექტროქსელები"**, გაკოტრების რეალურ ზღვარზეა.

არ გამოვრიცხავთ, რომ მ. სააკაშვილის ხელისუფლება აღნიშნულ საწარმოს, აგრეთვე, გაასხვისებს და, შესაძლოა, ისევ რუსეთზე. სხვა შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული გახდება, აღნიშნული საწარმო ოფიციალურად გამოაცხადოს ბანკროტად, რის შემდეგ საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით გაასხვისოს.

1996 წელს შეიქმნა შპს **"საქენერგო"**, რომელსაც დაეკისრა სახელმწიფო ენერგოსისტემის დისპეტჩერიზაცია, იმ დროისთვის სახელმწიფოს კუთვნილი **"თბილსრესის"** საწვავით უზრუნველყოფა და, აგრეთვე, იმ დროისთვის განკერძოებული მცირე ჰესების მიერ გამომუშავებული და მომხმარებლებისმიერ გამოყენებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღება.

1997 წელს შეიქმნა **"სემეკი"**, რომელსაც კანონმდებლობით დაეკისრა ქვეყნის ენერგოსისტემაში მედიატორის როლის შესრულება.

1999 წელს შპს **"საქენერგოს"** მოეხსნა ენერგოდისტრიბუტორის ფუნქცია, რომლის აღსრულება დაეკისრა საქართველოს ერთიან საბითუმო ენერგობაზარს (**"სესბ"**), რომლის დამფუძნებლები გახდნენ ქვეყნის ენერგოსისტემის სახელმწიფო და კერძო სექტორის იურიდიული პირები.

თავისი 8-წლიანი არსებობის მიწურულს იგი გაუქმდა და მის ნაცვლად 2007 წელს შეიქმნა **"სესკო"**, რომლის საწესდებო კაპიტალი იყო და დღესაც არის 200 ლარი.

# ქართული პრობლემების ამერიკული "მუხრუჭი": უმუშევარს პლიუს უმუშევარი

მოცემულ ეტაპზე რა გვაკლია რეგიონული და მომავალში, ეგებ, მსოფლიო მასშტაბით თვითდამკვიდრების თვალსაზრისით? უნდა დავიწყოთ იმით, რასაც უწინ **"კომუნისტური თავმდაბლობა" ან "კომუნისტური უბრალოება"** ერქვა. მეორის (უბრალოების) თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი რიგზე გვაქვს: თანამდებობით პირველი პირი მისაწვდომია, გულკეთილია, გულისხმიერია. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს ახალი ამბების **"ტელესერიალები"** და რეპორტაჟები **"ცხელი წერტილებიდან"** - სხდომებიდან, რომლებიც მოლივლივე ზღვის ან სამშენებლო მოედნების ფონზე იმართება.

აი, თავმდაბლობის საკითხში კი გარღვევა გვაქვს - ძალიან უნდა, რომ იყოს პირველი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ინიციატივიანი და ეკონომიკურად შორსმჭვრეტელი. აი, ამ ყველაფრის გამო, მარტივად რომ ვთქვათ, მივდივართ ყალთაბანდობის, ზედმეტობისა და, რა თქმა უნდა, ოცნებებისა და ილუზიების გზით.

ამ დღეებში უავგუსტესის ბაგეებს მოსწყდა და **"ოპრიჩნიკებმა"** დაუყოვნებლივ გაავრცელეს პრეზიდენტის ახალი ახირება - **"ჩვენ ჩრდილოკავკასიელ ძმებთან"** კრემლის ვამპირების გვერდის ავლით უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, თანაც არა მარტო ჩვენთან და დსთ სივრცეში, არამედ, გარკვეულწილად, ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში, აღწერაც კი ძნელია!.. მთავარი ისაა, რომ უაღრესად საჭირო მომენტში დახმარების ხელი გავუწოდეთ მონობასა და ეკონომიკურ უპერსპექტივობაში მყოფ ჩვენს თითქმის თანამემამულეებს, თითქმის ძმებს, რომელთა ნაწილი დიდი სოჭის ოლიმპიურ რკალში ცხოვრობს. ამ უკანასკნელთან ჩვენს **"დიდ მთავარს"** რთული და არამეგობრული დამოკიდებულება აქვს. რა გამოდნება აქედან, ნუ ვიმარჩიელებთ. აი, დასახელებულ ძმებს კი ლამის მეგაფონით ვეპატიჟებით: ჩამოდითო ჩვენთან 90 უვიზო დღით, დატკბით ჩვენი, თქვენთვის წარმოუდგენელი, დემოკრატიის სტატისტიკური და საკონცერტო წარმატებების ხილვით.

"ურთიერთდაპირისპირებულ სამყაროთა" **ბრძოლაში ჩვენი უმთავრესი კოზირი შემდეგია: დასავლეთის მიერ აღიარებული ჩვენი ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში შეგიძლიათ იმუშაოთ შეუმჩნევლად იატაკქვეშ ჩვენი "ბატონების"** სასარგებლოდ, შედეგად კი ოჯახების დასახმარებლად ორასიოდ დოლარი წაიღოთ. ეს უკანასკნელი აშკარად ყურითაა მოთრეული და უფრო კეთილ სურვილს ან ორგანიზებულ **"ჰეფი ენდს"** ჰგავს. რადგან ქართული ლეგალური უმუშევრობა უფრო აქტიურია, ვიდრე ჩეჩნური, დაღესტნული ან ყაბარდო-ბალყარეთისა ერთად აღებული.

ასე რომ, ერთიანი **"კავკასიური სახლის"** მშენებლობის განმსაზღვრელი მოტივაციური საფუძველი ჯერჯერობით არ ჩანს. ჩვენი უმუშევრები პლიუს **"სხვების"** დაბჩენილი პირები, ერთ ბედნიერ, თვითკმარ სახელმწიფოში ვერა და ვერ იცხოვრებენ.

ცნობისთვის: უცხოეთის საინფორმაციო წყაროების მიხედვით, კავკასიაში ყველაზე მცირე ხელფასი სომხეთში, ყველაზე მცირე პენსია კი საქართველოშია. ციფრებში ეს ასე გამოიხატება: რუსეთში საშუალო ხელფასი 490 აშშ დოლარია (15200 რუბლი); აზერბაიჯანში - 396 დოლარი (317,4 მანათი); საქართველოში - 318 აშშ დოლარი (572,7 ლარი).

პენსიებში აშკარა აუტსაიდერები კავკასიის სახელმწიფოთა შორის ჩვენ ვართ - საშუალოდ 48 აშშ დოლარი; სომხეთში - 60, აზერბაიჯანში - 110, რუსეთში 230 აშშ დოლარია.

გასაგებია, რომ ჩვენი მიმზიდველობა მოყვანილი ციფრების ფონზე ფრიად აბსტრაქტული ხასიათისაა. ამგვარივეა ოლიმპიური სოჭისადმი დამოკიდებულება, როცა ინტენსიურად ვმუშაობთ ჩერქეზების გენოციდის აღიარების კუთხით და განვახორციელებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ უამრავ ღონისძიებას: პრაქტიკულ კონფერენციებს **"უმრწმეს** ძმათა" მონაწილეობით, უშუალო კავშირებს ვაბამთ აფხაზებთან და ოსებთან და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ხალხთა მეგობრობის საუკეთესო საბჭოთა ტრადიციების მიხედვით, ვარყევთ **"კავკასიის ნავს"** და ვუპირისპირდებით მეზობლის მხეცურ ტოტალიტარიზმს.

ჩაუფიქრდით ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკის მიერ ახლახან წარმოთქმულ სენტენციას კავკასიის სივრცის ამჟამინდელი დანაწილების მიუღებლობის შესახებ. **"საქართველო დიდი ხნის განმავლობაში არაფრად აგდებდა უახლოეს მეზობლებს. გვავიწყდებოდა, რომ ვესაზღვრებით არა სლავურ რუსეთს, არამედ - ჩრდილოკავკასიელებს",** - ბანს აძლევს მას სხვა. გამოდის, რომ ახლა თბილისისათვის პრიორიტეტულია ურთიერთობა ჩეჩნებთან, ინგუშებთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან და არა **"ჟანდარმულ რუსეთთან".**

არის ეს ტერიტორიების ახალი გადანაწილების წინამორბედი და საქართველოს რუსეთთან მორიგი დიდი კავკასიური ომის პრელუდია? ან, იქნებ, დავადექით **"რევოლუციების"** ექსპორტის დაფინანსების გზას **"მოთარეშეთა მომმე პარტიების"** მონაწილეობით?

ქართული სახელმწიფოს უახლესი ისტორია საკმაოდ მდიდარია პრაქტიკული **"ჩეგევარიზმის"** მაგალითებით. ამ პროფილის მეკალმეების სახელები საკმაოდ ცნობილია ქვეყანაში.

არ დავიწყებთ მიკერძოებულ მტკიცებას, რომ ეს არის **"ქართულ კეთილდღეობაში"** სეპარატისტებისა და სხვა ახალი ფიგურანტების მოზიდვის პოლიტიკის გენერალური ხაზის გაგრძელება, რომელიც ჯო ბაიდენმა ან ჯონ მაკეინმა დაგვისახეს. სახეზეა სხვა, საქართველოს კავკასიური პოლიტიკის ფესვების უფრო საშიში გამოვლინება, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის სახელმწიფო და სხვა ინტერესების განხორციელებასთან ახალი წესრიგისა და ახალი მსოფლიოს მშენებლობის საკითხში.

ამ მიმართებით ჩვენი მცდელობა უშედეგო რჩება. ჩვენ, უეჭველია, გვეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ ეს დახმარება უნდა მოვიპოვოთ, თანაც არა დაუსრულებელი სიარულით საერთო კეთილდღეობის მირაჟებისკენ, რომლებიც არა და არ გვიახლოვდება. მხოლოდ დაავადებულ გონებაში, რომელსაც დაკარგული აქვს რეალობის გრძნობა, შეიძლება დაბადებულიყო აზრი, რომელიც სტუმრებთან შეხვედრის დროს გაჟღერდა, კერძოდ იმაზე, რომ უახლოეს ორ წელიწადში ცათამბჯენების რაოდენობით ბათუმი გაუსწრებს მოსკოვსაც და ვანკუვერსაც, მაგრ!.. ავტორის დასახელება არცა ღირს, რადგან ისედაც ნათელია, ვის შეეძლო ამის წამოროშვა...

### მსოფლიოს პატარა პროვოკატორი

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ **"პროვოკატორი ბიჭის"** როლში გამოვდივართ, რომელსაც **"მაგარი ბიჭის"** - რუსეთის გამღიზიანებელ ფაქტორად ყოფნის დავალება აქვს მიღებული. შეიძლება ავანტიურაშიც მოახერხონ ჩვენი ჩათრევა ევროპულ სახლთან და მრავალი პარამეტრით მასთან ახლო მდგომ საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან და ა.შ. მაპატიოს მკითხველმა პრეზიდენტის ლექსიკის უნებური გამეორება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გამართლებულია. რადგან გზადაგზა წარმოჩნდება ჩვენი უახლესი ისტორიისა და პოლიტიკის ფენომენი. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ეფუძნება საკუთარ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წარმოსახვით რეალობას და დიდ პოლიტიკაში მონაწილეობის განსაკუთრებულ პრიორიტეტს **"მსოფლიო პროვოკატორის"** მეორეხარისხოვანი როლის დონეზე.

მაგალითები საკმარისზე მეტია. ცალკეული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების პირადი ინტერესები ბოლო წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სიმაღლემდე აღზევდა, რაც აბსოლუტურად არ ემსახურება ეროვნულ ინტერესებს. ნებისმიერი ეკონომიკური, ფინანსური ან სხვა აქტივი, რომელიც მიმდინარე ზეამოცანის განსახორციელებლად არის წარმოდგენილი, 85-90 პროცენტით ამერიკელი პატრონის იდეებზე მუშაობს და, **"მთავარი არქიტექტორის"** ჩანაფიქრით, მხოლოდ 10 პროცენტს უტოვებს საქართველოსა და ქართველ ხალხს მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სწორედ ასეთი სისტემური მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებს ეროვნულ ფაქტორებს და გლობალიზაციის მიზნებზეა აქცენტირებული, საშუალებას არ აძლევს საქართველოს, დადგეს ფეხზე, გამოიყენოს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობანი.

ამ თვალსაზრისით, აქტიური საგზაო მშენებლობა, **"ამერიკული განსაკუთრებული საშტატო განრიგით"** მიმდინარე მილიტარიზაცია, ქართველი მეომრების ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბში გაწვრთნა, მთელს ქვეყანაში პოლიციური აპარტამენტების აღმართვა, ძვირადღირებული ინსტიტუციონალური გარდაქმნები, ჰიპერბოლიზებული ტურიზმი და საკურორტო მშენებლობა, მოძრაობისთვის **"კოკოითი ფანდარასტ!",** ტელეარხ **"ალანიაზე"** ტელეკეკლუცობისა და სხვა სისულელეების სოლიდური მატერიალური მხარდაჭერა, ბიუჯეტის დაუბალანსებლობის სერიოზულ ფაქტორებად წარმოგვიდგება.

ამასთან, საკმაოდ ეგოისტური და მიკერძოებულია ჩვენი საბანკო სექტორი, რომელიც, სადაც კი მოახერხებს, სათავისო პრივილეგიებს იქმნის. ეს **"ქამრების მოჭერისა"** და პენსიებისა და სხვადასხვა შემწეობათა სოციალური **"ეკონომიკის"** ფონზე ხდება... აქედან გამომდინარე და ბოლო ათწლეულის გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ პერმანენტულ ანტისოციალურ პოლიტიკაზე **"ზემოდან ქვემოთ",** რომელიც ჩვენთან ხორციელდება.

ის დროა, ვიკითხოთ: კარიერული ზრდის პერსპექტივაში რისი იმედი აქვს ჩვენს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელიც არად აგდებს და გამონაკლისის გარეშე ამოძირკვავს ეროვნულ ინტერესებს? იგი დაუფარავად ახდენს იმ ქვეყნისა და ხალხის ამერიკანიზაციას, რომელსაც, მსოფლიოს მცირერიცხოვან ეთნოსებთან ერთად აქვს საკუთარი დამწერლობა და ათასწლოვანი ისტორია. სააკაშვილს განზრახული აქვს, უვიზო კავკასიაში ამერიკის ნაცვალი გახდეს, დაისაკუთროს რუსეთის მეფის ტახტი, როგორც იოსებ სტალინმა. ეს ან დახურული და პრივატული თემაა, ან ჩვეულებრივი ჩინოვნიკის სამუშაოა, რომელსაც შესაბამისი ანაზღურების საფასურად მონდომებით ასრულებს, მაგრამ ეს საქმე ადრე თუ გვიან მთავრდება და ყოფილი **"ლიდერი"** სიმამრის მეურნეობაში ჰოლანდიური ქათმების გამრავლებით დაასრულებს კარიერულ ზრდას...

### საქართველოს ანაბარი მშიერ მილიარდში

სასურსათო პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითმა ინსტიტუტმა ახლახან გამოაქვეყნა შიმშილის გლობალური ინდექსი 2010 წლისთვის. მთელი კაცობრიობისთვის ამ სამარცხვინო მაჩვენებელში ქართულ სახელმწიფოს თავისი წვლილი შეაქვს. საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში სიტუაცია შედარებით ნორმალურია. საქართველოში კი უზბეკეთთან, თურქმენეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ნახევრად შიმშილის საშუალო დონეა შენარჩუნებული, ანუ მოქალაქე დღეში 1,8 ათასზე ნაკლებ კილოკალორიას მოიხმარს.

ბატონო სახელმწიფო და პარტიულო ფუნქციონერებო, ჩვენ ვართ მშივრებისა და ღატაკების აღიარებული ქვეყანა. დროა, უარი თქვათ ტელეაუდიტორიის წინაშე პრიმიტიულ თვითრეკლამაზე.

როგორ არ გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით თვითკმაყოფილი განცხადებები, რომ ჩვენთან კორუფცია დამარცხებულია.

ამ დღეებში მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის, კონტროლის პალატის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დააკავეს განათლების ყოფილი მინისტრის - გია ნოდიას მოადგილე. ეს ის ნოდიაა, რომელსაც არჩევნების პროცესში ეგზიტპოლების **"მიუკერძოებლად"** ჩატარებისთვის მინისტრის სავარძელი უბოძეს. მისმა მოადგილემ კი ბედოვლათი მინისტრის მმართველობის პერიოდში შექმნა პირობები მილიონ-ნახევარი ლარის ოდენობის საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისა და მითვისებისთვის.

საკადრო სისტემა მოიკოჭლებს არა მხოლოდ ამ უწყებაში, არამედ ბუნების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემებში.

მაგალითები სხვაც ბევრია.

ამათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება შეიძლება განიწმინდოს მხოლოდ სატელევიზიო ჭკუის დარიგების ხარჯზე, და კიდევ - ხელისუფლებასთან დაახლოებული ტელევიზიების სიუჟეტების ჩვენებით პრეზიდენტის სამაგალითო ცხოვრებიდან. ეს ყველაფერი ანტიმეცნიერული, პრიმიტიული მიდგომაა და რეალობის პრიმიტიულივე შეფასება.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ყველა მოწინავე საზოგადოებაში დანაშაულისა და სხვა ნეგატიური გადახრების შემცირებას, უწინარეს ყოვლისა, ახერხებენ სოციალური სფეროს გაუმჯობესებითა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებით. ვერ იქნება წელში გამართული ქვეყანა, რომლის მოქალაქენი არიან მშივრები და ღატაკნი... ჩვენი არნახული წარმატებებისა კი სჯერათ ან უაღრესად გულუბრყვილო ადამიანებს, ან იმათ, ვინც სპეციალური პოლიტიკური დავალებით არის ჩვენთან მოვლინებული.

და კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ. მასმედიის ცნობით, სულ ახლახან პარლამენტის ანტიკრიზისულმა საბჭომ განიხილა საქართველოში პურის დაბალი ხარისხის საკითხი. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაადასტურა, რომ ჩვენთან მართლაც დაბალი ხარისხის პურს აცხობენ და ეს პრობლემა მეპურეთა არაკვალიფიციურობას დაუკავშირა. საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც პარლამენტის ერთ-ერთი **"შტატიანი"** აქტივისტია, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი უხარისხო პური არსად მსოფლიოში არ ცხვება. აი, ასეთი იყო საოქმო ლაპიდარული მიდგომა საკითხისადმი, რომელიც ეხებოდა პურს ჩვენი არსობისა.

ეს დარგი, მომხმარებელთა საერთო აზრით, დიდი ხანია, გამოირჩევა კორუფციის მეტასტაზებით და შემმოწმებელთა ორგანიზებული კეთილგანწყობით სრულად სარგებლობს. ამის თაობაზე კი არაფერი უთქვამთ აღნიშნული საბჭოს სხდომაზე. რატომ? იმიტომ, რომ კორუფციას მფარველობენ.

მხოლოდ უსწავლელი მეპურეები აფუჭებენ დარგის კეთილდღეობის საერთო ფონს.

**გრცხვენოდეთ, ბატონო მეპურეებო, გრცხვენოდეთ!**

**საქინფორმი**

# “ოქროს პერგამენტის” ნომინანტები

*ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა “ოქროს პერგამენტის” კონკურსი, რომლის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია. კონკურსში გაიმარჯვა “ახალგაზრდა ილორელთა” კლუბის პრეზიდენტმა* ბიო ბოგბეჩიამ.

*ბოლოდროინდელმა რეალობამ, სამწუხაროდ, ერთადერთ ლიტერატურულ ცენტრად დედაქალაქი აქცია. ყველა მნიშვნელოვანმა მოვლენამ თბილისში მოიყარა თავი. ხშირად ყურადღების მიღმა რჩება დანარჩენ საქართველოში მიმდინარე პროცესები, ახალგაზრდები და უფროსი თაობის ხელოვანები სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ახერხებენ თბილისში საკუთარი შემოქმედების წარმოჩენას.*

*ამიტომაც იყო, რომ კონკურსმა “ოქროს პერგამენტი” დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსმა უდავოდ აღმოაჩინა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები და პოეტები, რომელთა საკონკურსო ნაწარმოებები ცალკე წიგნად დასტამბა გამომცემლობა “ინტელექტმა”. ამ პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ქალბატონი* ლალი ჯანჯღავა, *საკონკურსო ჟიურის წევრები კი იყვნენ* ლევან ბრეგაძე, ზვიად კვარაცხელია, ნინო სადღოგელაშვილი, ზეინაბ სარია *და* ირინე ქობალია.

*გაზეთ “ილორის” მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებებს.*

## გაგეაპრილე!

როგორ ჩაგიტიო თვალში
აპრილისფერი და სავსე,
ისევ წვიმის ვარ და ვარ შინ,
მიყვარს შენი “კი”-ო – ზავზე...

ისევ ვაწერინებ ნოტებს,
შენთვის იოჰანს და მოცარტს,
ლაზათს ვეთხოვები, ოდებს,
შენი ღიმილების მოსართს...

რემბრანდტს ვახატვინებ მწუხრებს
შენი თვალებისფრად ახლაც,
წვიმა შემოგისვამს თუ მხრებს,
თუ წვიმით ისურვე დაღლაც...

ვივალდს დაგიკრავ და როსინს,
დღეს შენ ხარ ჩემი ლირიკა,
ღრუბელი, ცის შუბლზე რომ ზის,
მზისკენ მიმავალ ბილიკად...

ატმის ყვავილების გუნდად
გაგეაპრილები, კარგო... მერე?
მერე დაგასრულო უნდა,
რომ სხვა ლირიკებიც ვქარგო...

* * *

მე რომ დარდებს მიამებენ –
იშხანი და ნეკრესია...
სულმა სახლად მოინატრა
თოვლისფერი ეკლესია...

მინდა მადლი წამოვხვეტო
კუმურდო და ბანადან...
მცხეთას ისევ მზედ დამსხდარან
მირიანი და ნანა.

მინდა სულში ავიშენო
ჰუჯაბი და ვარძია...
ქარმა სულის სველი სევდა,
მთვარის მკლავზე არწია...

ხვალ იების მოსვლის დღეზე
მარტის მოვლენ ფერები...
შატბერდის ცას, მეტეხის ხიდს
და ტბეთს მივეფერები...

ლარგვისი თუ მოვილოცე,
თუ ვემთხვიე ჟალიას,
მერე მზემდეც ავუყვები
შარებს შორს და შარიანს...

მინდა მადლით აგებული
ავიშენო კოშკი, და
სანთლების და ბზის სურნელი
წამოვხვეტო ოშკიდან...

ზარზმის ზარებს ჩამორეკენ
როცა მზისფერ დარებად,
მომწყურდება მე თვალებით
ტაძრის სუნის ტარება...

მინდა ფერი დავუკოცნო,
მზის და მთვარის ოვალებს...
ლოცვის მადლი დასდით გულზე
ალავერდში ოლარებს...

მინდა თეთრი აისების
და ღიმილის მე ქონა...
ეგ თვალები უდაბნოში
ოაზისი მეგონა...

ყინწვისის ცა მოვილოცე
მზენანახი გონებით...
მინდა მარტის დარცხვენილი
ენძელების კონები!..

ჩემს გულს ისე ცივა ახლა,
ისე უღვთოდ ათოვს შინ...
პარხალსა და ქაშუეთში
სულს გავითბობ გათოშილს...

მინდა მადლი დავუკოცნო
მოძღვრის ნავალ ამბიონს...
მისვლას აღარ დაგზარდები,
თუ მიპოვი ლამპიონს...

ფიტარეთის და ხანძთის მზეს
ხვალაც უბით ვატარებ...
მიყვარს, ჩემს ხმას როცა, ქარის
ჩურჩულის ხმას ადარებ...

ჭყონდიდის ცა ჩაიხუტებს
ხვალაც უფლის მოსავებს...
გელათი და ურბნისია,
სულს რომ ლხენით მოსავენ...

მსურს უბადლო ფიქრების და
ოცნებების არ თოვა...
ახლა ისე მოვიწყინე...
ახლა ისე მარტო ვარ...

ცირა ანთია

## სახელისუფლო ‘’ელიტა’’ რომ გამოსულიყო აქციაზე, ბარსაც მოუტანდნენ, სეკატორსაც, მოსარწყავ საშუალებებსაც!

პატრიარქის კურთხევით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა და ამის უამრავი მაგალითი სახეზეა. საქინფორმი ახლახან უწმინდესისა და უნეტარესის ინიციატივასთან დაკავშირებით ქუთაისელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის - ინტერნეტ პორტალ **‘’ინფოქუთაისის’’**, ასევე, რადიო **„თეთრი რადიოსა“** და არასამთავრობო ორგანიზაცია **„ახალგაზრდები უკეთესი მმართველობის მშენებლობისთვის“** - მიერ მოწყობილ აქციაზე **‘’ხე დარგე, გაამწვანე ქუთაისი’’** იტყობინებოდა (მისი უწმინდესობის კურთხევით, როგორც იცით, ყველა ადამიანმა წელიწადში უნდა დარგოს 12 ძირი ხე).

როგორც მოსალოდნელი იყო ამ სასიკეთო ინიციატივაზე სახელისუფლო მედიასაშუალებებს კრინტიც არ დაუძრავთ. ჩვენს კორესპონდენტს აქციის ერთ-ერთმა აქტივისტმა გიორგი გერაძემ აი, რა უამბო: **‘’ბარები არ გვაქვსო, გვითხრეს; 30 კაცი ვართ და 2 ცალი ბარი რას გვეყოფა-თქო. მერე ტელევიზია მოვაო? კი მოვა-მეთქი; ჰოდა, მაშინ ახალი ბარები გვაქვს ტელევიზიისთვის და გამოვიტანთო. აბა, გამოსულიყო ამ აქციაზე ე.წ. ელიტა, როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, მათ ბარსაც მოუტანდნენ, სეკატორსაც, მოსარწყავ საშუალებებსაც და ‘’TV რიონსაც’’ არ დააჯერებდნენ, ქალაქისა და ქვეყნის სიყვარულზე თავგადამკვდარ პერსონებად გამოიყვანდნენ წამყვან ტელეარხებზე, სადაც „დაყენებული“ ტონით ისაუბრებდნენ...’’**

მიუხედავად ამისა, ენთუზიასტებმა მოსახლეობას მიმართეს და მათგან ნათხოვარი ბარებით საქმე ბოლომდე მიიყვანეს. მათ იმედი აქვთ, მისაბაძი იქნება ეს წამოწყება და სხვებიც ჩაერთვებიან ამ ლამაზ საქმეში, რომლის გაგრძელებას საღორიის ტყეში გეგმავენ, რადგან, როგორც თავად **ამბობენ, ‘’საღორიის ტყე გაჩანაგდა... უკვე ტყეც აღარ ჰქვია, აქციის მოწყობა იქაც შეიძლება და, ჩვენ თუ არა, ჩვენს მომავალ თაობას მაინც ექნება ტყე’’.**

## მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან წყალში 35 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მშრალ ხიდთან, წყალში 35 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც საქინფორმს თბილისის საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის სამაშველო განყოფილების უფროსმა ნოდარ ჭუმბურიძემ განუცხადა, მაშველებმა ცხედარი წყლიდან უკვე ამოიყვანეს. ადგილზე ორი სამაშველო ჯგუფი და კრიმინალისტები მუშაობდნენ. ცხედარს, გარეგნული დათვალიერების შემდეგ, პროზექტურაში გადაასვენებენ. ჭუმბურიძის თქმით, გარდაცვლილი, სავარაუდოდ, 2 კვირის წინათ დაკარგული დავით ყაჭაიაა, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით გადახტა მტკვარში.

## არასამთავრობოთა კოალიცია 2011 წლის მასმედიის თავისუფლებისთვის ბრძოლის წლად გამოცხადებას ითხოვს

კოალიციაში **„ჩვენი უფლებებისთვის“** შემავალი უფლებადამცველი ორგანიზაციები გამოდიან ინიციატივით, რომ 2011 წელი მასმედიის, თავისუფლებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წლად გამოცხადდეს. როგორც საქინფორმს კოალიციის **„ჩვენი უფლებებისათვის“** თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა განუცხადა, საქართველო, როგორც მრავალი წლის მანძილზე, 2010 წელსაც რჩება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ტოტალური მასშტაბებით დამრღვევ ქვეყნად. კოალიცია ადამიანის უფლებების შესახებ შეფასებებსა და დასკვნებსაც აქვეყნებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ 2010 წლის განმავლობაში თბილისის ადგილობრივი ხელისუფლების მითითებით პოლიცია დევნიდა გარემოვაჭრეებს, ხდებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მასობრივი დაპატიმრება, თბილისის სკოლებში მოსწავლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მასწავლებლებისა და დირექტორების მასობრივი განთავისუფლება, გაიზარდა უკანონო და პოლიტპატიმართა რაოდენობა, ჟურნალისტთა საქმიანობაში ხელის შეშლა, სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი აქციების დარბევა. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ისინი 2011 წელი მასმედიის, თავისუფლებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წლად გამოცხადდეს.

## მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვეს

ზუგდიდის № 3 საჯარო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი რევაზ მაჭავარიანი მანდატურ ჯიმშერ ბაძაღუას მიერ დაწერილი ოქმის საფუძველზე სკოლის დირექტორმა ლევან ღურწკაიამ სამსახურიდან გაათავისუფლა. რევაზ მაჭავარიანმა საჩივრით მიმართა პროკურატურას. **"მე-8 კლასში ვატარებდი გაკვეთილს, ორი ბავშვი წაკამათდა, ხელის გასარტყმელადაც გაიწიეს ერთმანეთისკენ. მე ისინი გავაშველე და ვცდილობდი, განმემუხტა სიტუაცია, ამ დროს მოვიდა მანდატური და**

**შემიდგინა ოქმი, თითქოს მე ერთ-ერთი მოჩხუბართაგანი ვცემე, არა და მსგავსი რამ არ ყოფილა. მეორე დღეს დამიბარა დირექტორმა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მომახსენა. მე საჩივრით მივმართე პროკურატურას, დაგვკითხეს. მიმდინარეობს გამოძიება. მე ვითხოვ სამსახურში აღდგენას, რადგან უკანონოდ გამათავისუფლეს"**, – აცხადებს რევაზ მაჭავარიანი.

მოსწავლის - გიორგი ჯალაღონიას ცემის ფაქტს უარყოფენ მისი თანაკლასელები და თვით გიორგი ჯალაღონიაც. № 3 საჯარო სკოლას უკვე ახალი მანდატურები ჰყავს.

## აშშ-ის ელჩი ქართული მედიის შესახებ

აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ქართულ მედიაში მთავრობის საქმიანობის შესახებ ჟურნალისტური გამოძიებების ნაკლებობაა, რაც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, საზიანო იყოს დემოკრატიის განვითარებისთვის.

**"ვფიქრობ, მედია საქართველოში, ასე ვიტყოდი, ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, სადაც საზოგადოებისთვის შეხედულებების ნამდვილად ფართო სპექტრია ხელმისაწვდომი, თუმცა არა აუცილებლად ობიექტური მიდგომა იმ მთელ რიგ საკითხებსა თუ შეხედულებებზე, რომელთაც კონკრეტულ არხებზე ან გადაცემებში გამოხატავენ,“** – განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

**"მიმაჩნია, რომ მთავრობის საქმიანობის შესახებ და ასევე ამ ქვეყანაში მთავრობისა და ბიზნესის გადაკვეთის საკითხების შესახებ ჟურნალისტური გამოძიების ნაკლებობაა, რაც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, საზიანო იყოს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. ეს არის ის, რაზეც მუშაობას გავაგრძელებთ,“** – განაცხადა მან და დასძინა, რომ მედიის თავისუფლების მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებისთვის აშშ-ის დახმარების ნაწილია.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რეგიონალური ტელეკომპანია **„თრიალეთიდან“** აცნობეს, აშშ-ის ელჩმა ეს განცხადება 22 დეკემბერს გორში გააკეთა, სადაც ის ამ ადგილობრივ ტელეკომპანიას სტუმრობდა. **„თრიალეთმა“** ბოლო დროს არა ერთხელ განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობა და ჟურნალისტები ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიან.

ჯონ ბასმა ასევე განაცხადა, რომ მან მოისმინა ტელეკომპანიის ჟურნალისტების პრეტენზიები ზეწოლასთან დაკავშირებით, როდესაც ისინი ცდილობენ მწვავე შეკითხვები დასვან და აშუქებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას, ეს კი ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევს.

**"ამგვარი სურათი მაშფოთებს. მე შევისწავლი ამ ბრალდებებს და გავესაუბრები ხელისუფლებას იმაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ გარემო საქართველოში მომუშავე ჟურნალისტებისთვის,“** – განაცხადა ელჩმა.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ 2009 წლის ნოემბერში

გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, მაყურებელთა ინტერესი საგამოძიებო რეპორტაჟებზე საკმაოდ დიდია; რესპონდენტთა 75% აცხადებდა, რომ ისინი ისურვებდნენ საგამოძიებო რეპორტაჟების ხილვას ჯანდაცვაზე, სასამართლოებზე, არჩევნებზე, სიტყვის თავისუფლების დაცვაზე, ხოლო 64% აცხადებდა, რომ სურდა, ენახა საგამოძიებო რეპორტაჟები პოლიტიკოსებისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვეხმიანებიან ჩვენი მკითხველები

*ეს წერილი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ავტორს, აკადემიკოს ბატონ კუკური ფიფიას სამტრედიიდან გამოუგზავნა ასევე ჩვენი გაზეთის მკითხველმა ბატონმა ავთანდილ ბახტაძემ. ბატონი ავთანდილი არ ეთანხმება ფიფიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს იბერებისა და მათი სამეტყველო ენის თაობაზე. წერილი ბატონ კუკური ფიფიას გადავეცით, რომელზედაც მოგვაწოდა პასუხი. ჩვენი გაზეთის პრინციპებიდან გამომდინარე, ვაქვეყნებსთ ბატონ ბახტაძის მოსაზრებას ფიფიას წერილის თაობაზე და, ასევე, ბატონ კუკური ფიფას პასუხს. (ავტორისეული სტილი და პუნქტუაცია დაცულია და ამდენად, შეცდომები არ გახლავთ რედაქციის უყურადღებობის შედეგი).*

**ბატონო კუკური!**

მე, ავთანდილ ამირანის ძე ბახტაძე ვარ სამტრედიელი კაცი, მართლმადიდებელი, აღმსარებელი და მაზიარებელი. მყავს სულიერი მოძღვარი. ემუშაობ სამტრედიის დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ტაძარზე.

გულდასმით ვკითხულობ რა თქვენს სტატიებს სათაურით **"რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები"**, სადაც ასოების თქვენებური ტრანსკრიპციით ამტკიცებთ, თითქოს იბერია არის მეგრულ წარმოშობის მცნება, გადაჭრით ვუარვყოფ მაგ თქვენს ვერსიას.

თქვენი უფლებაა რას თვლით თქვენ, მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ როგორც ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანს: დაანებეთ თქვენი საფუძველსმოკლებული მსჯელობით მტრის წისქვილზე წყლის დასხმას. ზუსტად იმ გარეული თუ შინაური მტრების წისქვილზე, რომელთაც ოცნებად აქვთ ქცეული საქართველო უქართველებოდ აქციონ და მცნება გაანადგურონ, რასაც მათ უფალი არ აღირსებს, ვინაიდან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

ახლა კი დაგისაბუთებთ ბატონო კუკური, თუ ამის ნებას მომცემთ, რომ თქვენი ვერსია არის მცდარი საფუძველშივე.

უპირველეს ყოვლისა დავიწყოთ ქართველი ეთნარქებიდან. როგორც ვიცით, ბიბლიიდან, ნოეს ჰყავდა სამი შვილიო, ანუ სემი, ქამი და იაფეთი. ჩვენ ვართ იაფეთის შტო, ანუ იაფეთის შთამომავალი, ანი შვილიშვილი თარგამოსი, რომლის ერთ-ერთი ძე იყო ქართლოსი, ანუ ქართველთა წინაპარი. ქართველთა უძველესი წიგნი **"ქართლის ცხოვრება"**, რომელსაც თქვენ რატომღაც არ ეთანხმებით, გვიამბობს, რომ კავკასიელ ხალხთა წინაპრები ძმები იყვნენ, ანუ ქართლოსი (ქართველთა წინაპარი), ეგროსი (მეგრელთა წინაპარი), ჰეროსი (ჰერთა წინაპარი), ჰაილი (სომეხთა წინაპარი), ლეკანი (ლეკთა წინაპარი), მოვაკანი და ბარდოსი (მოვაკანელთა და რანთა წინაპარი), კავკასოსი (ჩრდილოეთ კავკასიელთა წინაპარი).

ასე რომ მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო მოდის ჩვენს ეთნარქ ქართლოსისაგან, რომელსაც წილად ხვდა ქვეყანა შავი ზღვიდან ჰერეთამდე (ტაო, კლარჯეთი, ქართლი და კახეთი). ეგროსს – ქვეყანა შავი ზღვიდან ლიხის მთამდე.

რაც შეეხება იბერიას, ეგ სახელწოდება მოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე სპერიდან. სპერი-იბერი.

მე კიდევ საფუძვლიანად უარვყოფ თქვენს მოსაზრებას, თითქოს იბერი-იგერი-ეგრი-მეგრელი არის შედეგი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გათიშვისა. თუკი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გათიშული იყო, ეს იყო იმ გარემოების შედეგი, რომ ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში უცხოელი ძლიერი დამპყრობლებისა და შინაური სეპარატული ძალების წყალობით, ვთქვათ რომისა თუ ირანის, ან მოგვიანებით ბიზანტიისა და ირანის გავლენის სფეროების საზღვარი დაახლოებით ლიხის ქედზე გადადიოდა. მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც ერთიანდებოდა ჩვენი სამშობლო. მაგალითად ეს იყო დიდი მეფე ფარნავაზის დროს, როცა მან ეგრისი შემოიერთა, სადაც მბრძანებლობდა მეფე ქუჯი და მან უყოყმანოდ აღიარა ფარნავაზი მაშინდელი სრულიად საქართველოს მეფედ. ავიღოთ ჩვენი დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელიც სვეტიცხოველშია დაკრძალული. მან ხომ ავტოკეფალია მოუპოვა საქართველოს ეკლესიას. მისი ისტორიული სიტყვებია: **"ეძიებდით სიკვდილს ქრისტესათვის და ნუ დაუტეობთ სიყვარულსა ბერძენთა"**. ბერძნებში მან მართლმადიდებლები მოიაზრა ფართო მნიშვნელობით. მე ძალიან მეტკინა გული იმ თქვენს სტატიის გამო, სადაც გადაჭრით უარყავით ეს დიდი ქართველი მეფე და ვახტანგ გორგასალის მაგივრად გურგენ მეფე დაასახელეთ, თითქოს რომელიც იყო იბერიის მეფე თქვენი აზრით და საუბრობდა მეგრულად.

ვახტანგ გორგასალი წმინდანად არის შერაცხული და ყოველ ღვთისმოშიშ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანს ტანში ზარავს რომ არათუ უგულვებელყოს, არამედ უარყოს ვინმემ ეს დიდი წმინდანი. მისი ხსენება ხომ 13 დეკემბერსაა ახალ სტილით? მაშ, გამოგონილია ეს დიდი მეფე?

და ბოლოს მინდა სულმნათი იოანე ზოსიმე, X საუკუნეში მოღვაწე ქართველი სასულიერო მწერალი მოვიშველიო. მისი თხზულებათაგან აღსანიშნავია ცხოველი პატრიოტიზმით განმსჭვალული საგალობელი **"ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"**:

**"დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.**

**და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამასა ენასა ლაზარე ჰქვიან.**

**და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.**

**და მეგობრობაი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ "წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი," – და სახარებასა შინა ქართულსა თავსა, ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა: – და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილით, ნათლისღებისა მამისაითა.**

**და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მეორედ მოსვლისა უფლისაითა, და სასწაულად ესე აქუს ორმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეის სხუათა ენათა ქრისტეის მოსვლითგან დღესამომდე.**

**და ესე, ყოველი, რომელ წერილ არს, მოწამედ წამოგითხარ ესე წილი ანბანისაი."**

რას ბრძანებთ, რა ენაზეა ეს დიდებული სიტყვები ნაბრძანები? კიდევ უარყოფთ რომ ქართული დასაბამისეული ენაა?

მე არ მინდა დეტალებში ჩავეძიო თქვენს სიტყვებს და კრიტიკით თავი მოგაბეზროთ, მაგრამ ერთს კი გეტყვით: ბავშვი რომ ლაპარაკს სწავლობს, ხომ ამბობს – **ა ღ უ!**, რაც ნიშნავს ქართულად, ადიდე ღმერთი უფალი. ამით ხომ ყველაფერია ნათქვამი? სიტყვა ღმერთი ნიშნავს – ღრმა ერთი. განა ამასაც უარყოფთ?

თქვენ შეგიძლიათ თქვენი აზრი დაუსრულებლივ ილაპარაკოთ, მაგრამ მე, როგორც აღმსარებელი და მაზიარებელი კაცი ქრისტესმიერ სიყვარულით გთხოვთ, მაგ თქვენს სტატიებით ნუ შეიტანთ განხეთქილებას ჩვენი მრავალტანჯული ქართველი ერის ცნობიერებაში, სადაც მეგრელი, იმერელი, ქართლელი, კახელი, აჭარელი, გურული, მესხი, ჯავახი, რაჭველი და ლეჩხუმელი, თუში, ფშაველი, ხევსური, იმერხეველი, ლაზი და სვანი ყველა პირველ რიგში ქართველია. ხოლო დასაბამისეული ენა ჩვენი ძველი ქართულია, რასაც კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იოანე ზოსიმე ამტკიცებს და რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ, ვინაიდან ამით უდიდეს ცოდვას ჩაიდენს ღმერთის წინაშე. ნათქვამია, ბრძენს შეაგონე, ამისთვის შეგიყვარებს, არ ამხილო უგუნური, ამისთვის შეგიძულებს. მე მჯერა, რომ თქვენ ბრძენი კაცი ბრძანდებით.

ღრმად პატივისცემით თქვენდამი

**ავთანდილ ბახტაძე.**

**პასუხად ავთანდილ ბახტაძეს!**

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი სტატიით დაინტერესებისათვის.

რაკი გადაჭრით უარყოფთ, რომ იბერია არის მეგრული წარმოშობის ცნება, ცოტა კორექტივებს შევიტანთ ამ ტერმინის თქვენებურ გაგებაში. ე.წ. მეგრული ენა გახლავთ, იგივე, იაფეტურ-იბერიული ენა, რადგან მეგრული ენა დღემდე ინახავს უძველეს დასაბამიერ-არქაულ ენობრივ მონაცემებს და, ამდენად, ცნება იბერი და იბერია იაფეტურ-იბერიულია. მართალია, ჩემს მიერ მოკვლეული ენობრივი მონაცემები, რომელსაც თქვენ **ასოების თქვენებურ ტრანსკრიფციას** უწოდებთ, მცირე ნაწილის გარდა, გამოქვეყნებული არ მაქვს, თუმცა საენათმეცნიერო საზოგადოება იცნობს და დიდადაც დაინტერესდნენ, თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვეს (რაც ჩემი სურვილიც იყო), მაგრამ შეეცადნენ ჩემი აღმოჩენები **„ქართლის ცხოვრების"**-ეულ სომხური თარგისთვის დაექვემდებარებინათ და ამიტომ ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგა.

დიდ პატივს მივაგებთ თქვენს რწმენას, რადგან ურწმუნო კაცი ძალზე საშიშია და ოდესღაც მეც თქვენსავით მჯეროდა იმისა, რასაც **„ქართლის ცხოვრებიდან"** ამოკრეფილი ცნობებით მიმტკიცებთ, მაგრამ ეს მხოლოდ რწმენაა და არა ჭეშმარიტება. ვიცი, ძალზე მტკივნეულია ადამიანში არსებული რწმენის დანგრევა, მაგრამ ღმერთისგან შეძულების მეშინია ჭეშმარიტების დამალვის შემთხვევაში და არ მინდა ცოდვა მოვიკიდო ზურგზე.

ჩემთვის ცნობილია თვალსაზრისი ტერმინი **სპერიდან** იბერის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთერთი ყველაზე სუსტი ვერსიაა და არა ჭეშმარიტება. მივესალმები თქვენნაირ ადამიანებს და დიდად გცემთ პატივს, რადგან ტაძრის მშენებლობაში მონაწილე კაცი მეცნიერული საკითხებით დაინტერესებულხართ, მაგრამ ჭეშმარიტებაში ჩასაწვდომად და სხვათა თვალსაზრისის გადაჭრით უარყოფისათვის ერთი ავტორის თვალსაზრისზე ყურმოკრული ცნობები საკმარისი არ არის. სასურველია თქვენ და თქვენი მოძღვარი გაეცნოთ ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, შოთა ძიძიგურის და სხვათა შრომებს. განსაკუთრებით, ნ. მარის **„რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება"**, ივ. ჯავახიშვილის **„ქართველი ერის ისტორია, ტ. I. „ქართველთა სამი შტო"**, ექვ. თაყაიშვილის **„როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ"**, იოსებ ყიფშიძის **„Грамматика мингрельского (иверского) языка,"** შოთა ძიძიგურის **„ბასკები და ქართველები"** და ა.შ.

ხოლო ის აზრი, რასაც საუკუნეების განმავლობაში გვახვევდნენ თავს და თქვენ და თქვენს მოძღვარს დღემდე გჯერათ, ნასომხარი **„ქართველების"** სურვილია, რაც თქვენ, სამწუხაროდ, საფუძვლიანად მიგაჩნიათ.

ნუ მიწყენთ და ნუ განმსჯით იმისთვის, რომ თქვენი და თქვენი მოძღვრის რწმენა, რომ ეგრისის მბრძანებელი იღებს **„ბრძნულ"** გადაწყვეტილებას, (თანაც ამბიციური მეგრელი) და თავის სამეფოს აბარებს მცხეთის მამასახლისის – სამარას ძმისწულს, ანუ **„გლეხ"** ფარნავაზს, რომელიც გამეფების შემდეგ, თურმე, ლიხიდან ნიკოფსიამდე სამეფოს მფლობელ მეფეს ენგურსა და რიონს შორის ტერიტორია უსაზღვრავს სამთავროდ, ბავშვური გულუბრყვილობაა მომეცნიერო პირთათვისაც კი, მაგრამ ნადვილი მეცნიერისთვის ასეთის დაჯერება სირცხვილია.

რაც შეეხება ვახტანგ გორგასალს, ჯუანშერის მიერ **ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა** იწერება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან მრავალი საუკუნის შემდეგ, ყოველგვარი პარალელური წყაროს მითითების და არსებობის გარეშე. რის საფუძველზე დაწერა ავტორმა ეს თხზულება გაურკვეველია. აქ ვახტანგ გორგასლის პიროვნება ისეა გაზღაპრებული, რომ ამირანზე ზღაპარს მოგვაგონებს. ამას სხვა ავტორებიც აღიარებენ (მაგ., პროფ. ნ. ჯანაშია). მეცნიერი, გულუბრყვილო მორწმუნისაგან განსხვავებით (მეც მჯერა უზენაესი შემოქმედის არსებობისა, მაგრამ უზენაეს კანონზომიერებებში წვდომის საფუძველზე, თორემ ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტეც აღიარებდა, რომ უზენაესი შემოქმედი თვალით არავის უნახავს და ვერც ნახავს, მისი დანახვა მხოლოდ გონების თვალითაა შესაძლებელი), მხოლოდ იმას ღებულობს ჭეშმარიტებად, რომელიც მრავალი არგუმენტებითაა გამაგრებული და ყველა ეს არგუმენტი ერთიდაიმავეს ადასტურებს. მაგრამ ხშირად ხდება ისეც, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიღებულ დოგმას დროთა განმავლობაში საფუძველი ეცლება და უარყოფენ. ამიტომ ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ჩემში რწმენა, ბევრ სხვა მორწმუნესავით, ბრმად ვერ შემოდის.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ არ გაცნობიხართ მთლიანად ჩემს სტატიას. ის დაიბეჭდა რვა ნომერში გაგრძელებებით. ე.ი. დაიწყო №82-ით და დამთავრდა №89-თი, თორემ ამდენ გაუგებრობებს არ ექნებოდა ადგილი.

იბერთა ენა იგივე ე.წ. მეგრული (იაფეტურ-იბერიული) ენა, რომ იყო ამის დამადასტურებელი დღეისათვის საკმაო მტკიცებები გაგვაჩნია და, იმედია, მალე იხილავს დღის სინათლეს, რომლის შემდეგ გონიერი მკითხველი დარწმუნდება ამ მტკიცებების ჭეშმარიტებაში. თქვენთვის **„ცნობილ"** სტატიაში მაქვს საკმაო მტკიცებები, რომ ბიბლიური **„დაბადება"** დედანში იაფეტურ-იბერიულ ენაზე იყო დაწერილი, არმაზის ბილინგვის საიდუმლო ენა იბერიულია, მარტვილში ინახება 6000 წლის წინანდელი ცხვირმოტეხილი ჩვილი ბავშვის ქანდაკება წარწერით ჭხრ (ჭ – იჭე, **ხ** – ანიში **რ**-ე =მცირე ასაკისაა), ცნობილია, რომ პეტრე იბერი იბერიულ ენაზე წერდა, მაგრამ ვერაგმა გარე, თუ ბრიყვმა შინა მტრებმა მოსპეს ეს ნაშრომები, რომელიც მე-12 საუკუნის ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს ხელთ ეპყრა. პეტრე იბერის მშობლიური ენა იბერიული (ე.წ. მეგრული) რომ იყო იმით დასტურდება, რომ მას ბიზანტიაში გააყოლეს იოანე ლაზი (რუფუში), რათა მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (შ. ნუცუბიძე, **"პეტრე იბერი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა"**).

ბატონო ავთანდილ, თქვენზე ადრე ვიცნობდით იოანე ზოსიმეს **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"**-ს. ვიცნობთ ამ თხზულების სხვადასხვა ავტორთა მიერ განხილვის შედეგს და უნდა გითხრათ თქვენთვის არასასიამოვნო, მაგრამ შესაძლო ჭეშმარიტება. რამდენიმე ავტორს ის იბერიულიდან თარგმანად მიაჩნიათ **„და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან"**-ო, რომ მასწავლით, აბა, თქვენ და თქვენმა მოძღვარმა თუ იცით, რას ნიშნავს ქართულ ენაზე ლაზარე? არ იცით და არც გეცოდინებათ მანამ, სანამ ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენას არ ისწავლით! თქვენ და ბევრ ქართველს ის აქ ადამიანის სახელი ჰგონია, მაგრამ მე სხვას მეუბნება, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი.

ბატონო ავთანდილ, როცა ბავშვი ცდილობს ენა აიდგას ის თქვენსავით გარკვევით ვერ იტყვის **აღუ**-ს, არამედ ამბობს ,ღ, ,! დედას უნდა ბავშვმა თქვას **აღუ** და ამიტომ უმეორებს რამოდენიმეჯერ, რომ ბავშვმაც გაიმეოროს **აღუ**! და მეორეც, მეცნიერისათვის ძნელი დასაჯერებელია, ბავშვმა, რომელსაც, ჯერ კიდევ, ენა ვერ აუდგამს, იცოდეს დაქარგმების აკროსტიხური წესი **ა**-დიდე **ღ** – მერთი **უ** – ფალი =**აღუ**. ასეთი რამ, რომელიც თქვენ და თქვენს მოძღვარს ყველაფერს გეუბნებათ და ქართული ენის დასაბამიერობაში გარწმუნებთ, ჩემთვის არასაკმარისია. ალბათ, ძალიან უნიჭო ვარ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ, მეტი მინდა ვიცოდე, ალბათ, დამეთანხმებით ყველაფერი ღვთის ნებაა. რა ვქნა, ალბათ **„აჯობებდა"** არაფერი მესწავლა და ბრმად მერწმუნა მღვდლის ქადაგება, მაგრამ ჩემი ასეთი მოუსვენრობაც ღვთის ნება იყო და **„შარში"** გავეხვიე. ხოლო თქვენ და თქვენს მოძღვარს, ყველაფრის მარტივად შემმეცნებელთ და გამგებთ, არ გეპატიებათ, რომ არ იცით, როგორ ჩაისახა სიტყვა **მოძღვარი**, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩასახვის მომენტში და რატომ დაეკისრა ამ სიტყვას აღენიშნა მასწავლებლის, მქადაგებლის ფუნქცია და სხვა. ტყუილად ნუ ირჯებით, პატიოსანო, ქრისტიანო ადამიანო, ეს მხოლოდ ე.წ. მეგრული ენით ირკვევა, რომლის მიმართ თქვენ და თქვენი მოძღვარი, გეტყობათ, მწყრალად ბრძანდებით.

და ბოლოს, ეროვნული შუღლი და განხეთქილება იმას შემოაქვს, რომელიც საზოგადოებას თავს ახვევს და ეუბნება გინდა თუ არა დაიჯერეთ, რომ **„ქართული ენა ფარნავაზმა განავრცო"** (ქ-ცა, 1955, გვ.29) **და ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყოო"** (ქ-ცა, გვ.16), ხოლო იბერებზე და იბერიის არსებობაზე ერთ სიტყვასაც არ იმეტებს, მაშინ, როცა რამდენიმე უცხოური წყაროებიდან ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან ახ. წ. აღ-ის 523 წლამდე ქართები იბერებს ექვემდებარებოდნენ (იხ. ექვ. თაყაიშვილი, ზემოთ აღნიშნ. ნაშრომი, ინგლისელი ისტორიკოსის ჰენრი რაულინსონის შრომები და სპარსული წყაროები) და 899 წლამდე

გაგრძელება მე-12 გვ.

# ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

*აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა. ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.*

უაზნოთა, ანუ უთავისუფლოთა წოდებაშიც მეტ-ნაკლებობა არსებობდა: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ **"მსახურნი"** (შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე, 182, 184, 185), მეორეს **"ყრმები"** (ib. 186), მესამეს **"მონა-მხევლები"** (ib. 182, 190, ევსტათე მცხეთელის ცა, ib. 315). მონა-მხევლების ყოლა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა: არამც თუ დიდ აზნაურს, არამედ უბრალო ხელოსანსაც მონა-მხევლები ჰყოლია (ევსტათე მცხეთელის ცა, 315). რასაკვირველია იბერიაში ვაჭრები და ხელოსნებიც იქნებოდნენ და იყვნენ კიდეც, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ მცხეთაში სპარსელ და ასურელ ხელოსნების, მეხამლეებისა და მეჯადაგეთა ახალშენი არსებობდა (ib. 313). შუშანიკის ცხოვრებიდანა სჩანს, რომ აღმოსავლეთს საქართველოში ტანისამოსისათვის ძვირფასი ქსოვილი, **"პალეკარტად"** წოდებული, ანტიოქიით შემოჰქონდათ (საქ. სამოთხე, 190).

მაშინდელი სახლობა ორ მეუღლისა (შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე 190), ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან შესდგებოდა; სახლობის წევრს **"სახლეული"** ერქვა (ibid. 185, 316); შუშანიკის ცხოვრებიდანა სჩანს, რომ ამ დროს ცოლ-შვილიან ძმებს უკვე ერთ სახლად-კი არა, არამედ ცალ-ცალკე უცხოვრნიათ (მაგ. ვასქენი და მისი ძმა). როგორც ეტყობა, მაშინაც ჩვეულებადა ჰქონიათ შვილების გაბარება გასაზრდელად; დედ-მამის გარდა არსებობდა **"მამა-მძუძე"** (ibid. 191) და რასაკვირველია **"დედა-მძუძე"**-ც; იყვნენ **"ძუძუს-მტენი"** (ibid. 189) ესე იგი ისინი, რომელნიც თუმცა ძმები არ არიან, მაგრამ ერთი დედის ძუძუ უწოვიათ. სამნაირი მახლობელთა ჯგუფი ჰყავდა თვითოეულს: **"სახლეულნი, ნათესავნი და თვისნი"** (ევსტათე მცხეთელის ცა) (ibid. 316).

ცოლი ქმრის უკითხავად სხვაგან ვერ წავიდოდა; თუ ამ საქმეს ჩაიდენდა, ეს **"სახლის აოხრებად"** ითვლებოდა (შუშან. ცა, (ibid. 189)), სირცხვილი იყო და ქმარს შეეძლო ეთქვა: **"შენ ჩემიცა ხატი დაამხე და საგებელსა ჩემსა ნაცარი გადაასხი, შენი ადგილი დაგიტოვებია და სხუად წარსულხარ"**-ო (ibid. 184). შედარებით მაინც ქართველი ქალი სხვა ერის ქალზე უკეთეს მდგომარეობაში იყო; ბიზანტიაშიც-კი მაგ. ქალი უჩადროდ, რაც უნდა შემთხვევა ყოფილიყო, გარედ ვერ გამოვიდოდა **(Н.А. Скобалановичъ. О нравах Византийскаго оьщества въ средние века,б 1886 г. გვ. 38-39).**

წესი იყო, რომ ქალს **"თავი დაბურული"** უნდა ჰქონოდა (ib. 187); დიდებულ მოხელის მეუღლეს თავზე **"კუბასტი"** ჰხურებია (ib. 185, 186); ამას გარდა მაღალ წოდების ქალს **"თმა-გატეევებული, ვითარცა ერთი შეურაცხთაგანს"** (ib. 187) არ უნდა ეარნა, მაშასადამე მხოლოდ მდაბიო დედაკაცებს უვლიათ თმადაუწნელი. კაბად დიდებული მოხელის ცოლს **"ანტიოქიისა პალეკარტი"** ემოსა (ib. 190) და სხვა გვარი სამკაული ეკიდა (ib. 186). ფეხზე ხამლები სცმიათ; შეძლებულის **"უხამური"** სიარული (ib. 187) დიდი მწუხარების ნიშანი იყო.

დიდი აზნაურების სახლობას ჰქონდა **"ეზო და პალატი"** (ib. 191), დიდებული აზნაური მოხელე კიდევ, როგორც მაგალითად, პიტიახში, სასახლეში, **"ტაძარში"** ცხოვრობდა ხოლმე (ib. 183, 185); ამ ტაძარს ერქვა აგრეთვე **"სახლი სამეფო"** (ib. 184). ტაძარში იყო **"გაჰიაკები"** და **"სენაკები"** დიდი და **"მცირე"** (ib. 185); დიდებულ აზნაურ-მოხელეს ცოლს, რომელსაც მაშინ ჩვეულებრივ **"დედოფალ"**-ი ეწოდებოდა (ib. 182, 183, 190) ტაძარში საკუთარი **"სენაკი"** ჰქონდა; ამ სენაკს განსაკუთრებული მოსამსახურე მიყენებული ჰყავდა და **"სენაკპანი"** ერქვა (ib. 186).

უბრალო მკვიდრი-კი **"სახლებში", "სახლაკებში"** (ib. 183, 187), და **"ვან"**-ში (ib. 183, 187) იდგა; სახლს **"ყურე"** (ib. 183) ჰქონდა.

საწოლად ჰხმარობდნენ: **"სასთუნალ"**-სა (ib. 189), რომელზეც თავსა მისდებდნენ ხოლმე, და **"ქუესაგებელ"**-ს (ib. 189); საბნად **"სასთაული"** (ib. 189) ჰქონდათ. დიდებულ აზნაურებს, როგორც მაგალითად, ვასქენის მეუღლეს **"სასთაული ხალენისა"** (ib. 189) ჰქონია. **"უზმოებაზე"** (ib. 185) ჭამის გარდა **"პურისჭამა"** სცოდნიათ; ეს **"პურის ჭამა"** სადილის მაგიერი ყოფილა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ **"უამი პურისა"** (ib. 185) იმ დროსკი არა სცოდნიათ, როდესაც ჩვეულებრივ არის მიღებული, შუადღისას ან შუადღის შემდეგ, არამედ საღამოთი, **"რაჟამს შემწუხრდებოდა"** (ib. 186) შესდგებოდა, ხოლო სასმელად მოერთმეოდათ **"ღვინოი ჭიქითა"** (ib. 185).

ყურადღების ღირსია, რომ სტუმრებთან და **"წვეულობისა დროს, თურმე დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე სჭამდნენ პურსა, თუნდაც რომ სტუმრად მახლობელი ნათესავი ყოფილიყო**; როცა, მაგალითად, ვასქენს ძმა და რძალი ეწვივნენ, და ვასქენსა სურდა საერთოდ გაემართა სადილი, მისმა ცოლმა შუშანიკმა აღშფოთებით უპასუხა: **"ოდეს ყოფილარს აქამომდე, რომცა მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური"**-ო (ib. 185).

ამ დროს საქართველოში ორი სარწმუნოება იბრძოდა: ქრისტიანობა და მაზდეიანობა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა მზისა, ცეცხლისა და წყლის გაღმერთებაზე იყო დამყარებული; ამ ოთხს სტიქიონს იგი წმინდადა სთვლიდა; ამიტომ მათი შეხება არ შეიძლებოდა და ადამიანი დიდის კრძალულებით უნდა მოპყრობოდა. ქვეყნიერობის სფერო ორ უზენაეს ღვთაებას სამფლობელოს შეადგენდა: ერთი იყო კეთილი ღვთაება, რომელსაც **აჰურა-მაზდა** (არმაზი) ერქვა, მეორე, მისი მეტოქე, ბოროტების ღვთაება და დედა-ბუდე **ანჰრა-მაინიუ** (აჰრიმანი). მთელი მსოფლიოს უზენაეს ღვთაებათავით ბოროტ და კეთილ არსებათა და ბუნებისაგან შესდგებოდა. ადამიანის სული, მაგალითად, წმინდა ძალად ითვლებოდა, ადამიანის სხეული-კი ბოროტ ბუნების ნაშენობა იყო; ამიტომ ადამიანის თმა, ფრჩხილები, გვამი და მისი განავალი უწმინდურია და არც ერთ წმინდა სტიქიონს არ უნდა შეჰხებოდა; ამის გამო ცეცხლთაყვანისმცემელნი მიცვალებულებს მიწაში კი არ ასაფლავებდნენ, არამედ განსაკუთრებული ქვითკირის შენობები ჰქონდათ და იქა სდებდნენ ხოლმე გასახრწნელად.

რაკი ცეცხლი წმინდა სტიქიონად მიაჩნდათ, ამიტომ თვითოეულს კეთილმორწმუნეს თავის სახლში ცეცხლი გაუქრობელი უნდა ნთებოდა და მისი დაშრეტა დიდ ცოდვადა და ბოროტმოქმედებად ითვლებოდა. მაზდეიანებს მღვდელმსახურნი ჰყავდათ, რომელთაც **"მოგვებს"** ეძახდნენ, ხოლო მოგვების მღვდელმთავარს **"მოგპეტი"** და **"მობედან-მობედი"** ერქვა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# წამებით მოკლული როინ შავაძე სასამართლოში მოწმედ გამოიძახეს

წამებით მოკლული ჯარისკაცის, როინ შავაძის ოჯახში მივიდნენ და ჯარისკაცის ქვრივს განუცხადეს – **"როინ შავაძე ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ვერა დოლიძესთან არის დაბარებულიო"**. სპეციალური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც ჩაწერეს, რომ როინ შავაძე გარდაცვლილია, მათ შავაძეების ოჯახი დატოვეს. ეს ამბავი გასულ ორშაბათს მოხდა, რის შესახებაც **პრესა.გე** როინ შავაძის მეუღლეს, ციცინო შავაძეს და მისი უფლებების დამცველ ადვოკატს, რამინ პაპიძეს ესაუბრა. ინფორმაციის დასაზუსტებლად, ჩვენ, ასევე ვესაუბრეთ ადვოკატ შალვა შავგულიძეს.

**ციცინო შავაძე**: **"ჩვენს ოჯახში 6 დეკემბერს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი და გოგონა მოვიდნენ და მითხრეს – "როინ შავაძე სასამართლოში, ვერა დოლიძესთან არის დაბარებულიო". კინაღამ გავგიჟდი, ჭკუიდან გადავედი, ხმამაღლა ვიკივლე – მიაკითხეთ სასაფლაოზე და გამოგყვებათ–მეთქი. გოგონა მგონი სასამართლოს მანდატური იყო. ახალგაზრდა მამაკაცმა მითხრა, რომ ის პოლიციაში მუშაობდა.**

**მან დაიფიცა, არ ვიცოდით, რომ როინ შავაძე მკვდარი იყოო. არადა, მათი წასვლის შემდეგ გავიგე, რომ ჩვენთან მოსვლამდე მეზობლებისთვის უკითხავთ, რაზეც პასუხად მიუღიათ – "არ მიაკითხოთ, არ შეხვიდეთ სახლში, ქალი გაგიჟდება, არ იცით, რომ მკვდარიაო?!" გოგონას პოლიციელისთვის უთქვამს, "სახლში არ ავიდეთო", მაგრამ ამაზე პოლიციელს უპასუხნია არა, ავიდეთო და ამოვიდნენ".**

**ჯარისკაცის ქვრივი აცხადებს, რომ ესაა იმის მცდელობა, რომ "ჭკუიდან გადაიყვანონ და მიწასთან ბოლომდე გაასწორონ".**

**"დღემდე მიჭირს გონზე მოსვლა. დედამ ეს ამბავი, რომ გაიგო, ინერვიულა და გულის შეტევით ბათუმის საქალაქო საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ნუთუ სისხლი არა აქვთ, გული არა აქვთ და ადამიანები არ არიან?! – მკვდარი კაცის სახელი, გვარი უწერიათ ფურცელზე. რითაც მოდიან მის სახლში და გვეუბნებიან სასამართლოში მოწმედაა დაბარებულიო,"** – ამბობს ციცინო შავაძე.

მას შემდეგ, რაც ჯარისკაცის ქვრივმა მომხდარის შესახებ მისი უფლებების დამცველ ადვოკატს, რამინ პაპიძეს აცნობა, ადვოკატი ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივიდა და მოსამართლე ვერა დოლიძის თანაშემწისგან სიტყვიერად შეიტყო, რომ როინ შავაძე ასლან აბაშიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სტატუსით იყო დაკითხული.

**პრესა.გე**–ს ასლან აბაშიძის ერთ–ერთი ადვოკატმა, შალვა შავგულიძემ აცნობა, რომ აბაშიძის საქმესთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიების ეტაპზე როინ შავაძეს მართლაც აქვს ჩვენება მიცემული.

შალვა შავგულიძე: **"ჩემს ეპიზოდში ასლან აბაშიძეს ხიდების აფეთქების ორგანიზება ედება ბრალად. როინ შავაძეს ამ საქმესთან უშუალო შემხებლობა არ აქვს; ის ამ სფეროს სპეციალისტი ყოფილა და რაღაც გარემოებებზე ზერელედ არის დაკითხული".**

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ როინ შავაძის მკვლელობის მოკლე ისტორიას და ასევე გავიმეორებთ იმას, რომ ასე მოვიქცევით, სანამ ამ საქმეს ობიექტურად არ გამოიძიებენ. ეს ისტორია ეფუძნება ჯარისკაცის მკვლელობიდან (2008 წლის 16 აგვისტო) სამი კვირის შემდეგ, ჩვენს მიერ ჩატარებულ ჟურნალისტურ მოკვლევას.

უფროსი სერჟანტი, როინ (რომა) შავაძე ცხინვალის ომიდან სახლში 2 დღის დაბრუნებული იყო, როცა ბათუმის ცენტრში, 2008 წლის 16 აგვისტოს, შუადღეს, ქალაქის ცენტრში, ოქრის ბირჟასთან ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა დაიკავეს, რა დროსაც ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ. ჯარისკაცის დაკავების ამბავი მისმა მეუღლემ სამსახურში ყოფნისას შემთხვევით შეიტყო. ოჯახმა ჯარისკაცის ასავალ–დასავალს, რომ ვერ მიაკვლია, სახალხო დამცველის წარმომადგენლობას დაუკავშირდა, მაგრამ როინ შავაძის ადგილსამყოფელი ვერც მათ დაადგინეს.

იმავე დღეს, გვიან საღამოს, სახლში მყოფ შავაძეებს, ქუჩიდან უბნის პოლიციის თანამშრომელმა შესძახა – **"რომა რეანიმაციულ განყოფილებაშიაო"**. საავადმყოფოში მისულებს ჯარისკაცი რეანიმაციულ განყოფილებაში კი არა, პროზექტურაში დახვდათ, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად მყოფმა სამართალდამცავებმა ჯარისკაცის ქვრივსა და ნათესავებს ხმის ამოღება აუკრძალეს.

მოკლული ჯარისკაცის მეუღლეზე და ნათესავებზე ზეწოლის ამგვარი ფორმა, რამდენიმე თვის შემდეგ ტერორში გადაიზარდა – გაჩუმების სანაცვლოდ სოლიდურ თანხას სთავაზობდნენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ამ საქმეს იმჟამინდელმა სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა საერთაშორისო რეზონანსი მისცა; შავაძის ოჯახისა და ნათესავების დატერორების ამბავზე პარლამენტის ტრიბუნიდან გიორგი თარგამაძემ ილაპარაკა, ტელეეკრანიდან კი **"ახლებმა"** და **"რესპუბლიკელებმა"**; აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე პარლამენტარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ როინ შავაძის შესახებ კითხვა დასვა; ჯარისკაცის ქვრივი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, თომას ჰამარბერგსა და საქართველოში საფრანგეთის ელჩს, ერიკ ფურნიეს შეხვდა და საქმის ვითარება გააცნო, შავაძეებზე ღია ტერორი შეწყდა.

როინ შავაძის მკვლელობას წინ უძღვოდა კუდ–ის წარმომადგენლის, გიორგი ჩიქოვანის, მეტსახელად **"მაიმუნას"** (გავრცელებული ინფორმაციით, კუდ–ის ყოფილი უფროსის, დათა ახალაიას დავალებების უშუალო შემსრულებელი) **"სტუმრობა – მკვლელობის წინა ღამეს, შეიარაღებულმა "მაიმუნამ", თანმხლებ პირებთან ერთად როინ შავაძეს მიაკითხა და აჭარის კუდ–ის შენობაში წაიყვანა, საიდანაც ნახევარ საათში უკან დააბრუნეს, რის შემდეგაც მეუღლეს უთხრა, რომ "მაიმუნა" და მისი თანხმლები პირები მაყუჩიანი იარაღებით იყვნენ – "მე ეს ხალხი არ მომწონს. რაში სჭირდებოდათ ჩემთან იარაღით მოსვლა?! სამინისტროში მიმიყვანეს; ერთ-ერთ კაბინეტში ჩემთვის უცხო კაცი იჯდა. "მოვიყვანე და ჰკითხეო", - უთხრა მას "მაიმუნამ". "მერე და ვინ დაგავალა მისი მოყვანა, ან რა უნდა ვკითხოო?!", - ხელები გაშალა იმ კაცმა".**

ციცინო შავაძე, მეუღლის მონაყოლზე დაყრდნობით იხსენებს: **"გზაში "მაიმუნას" უკითხავს - "თუ იცი რამდენია მკვდარიო?" ამის გამო რომა აღელვებული იყო - "მე რა, მკვდრებს ვითვლიდი, თუ სათვალავად ვყავდი გაშვებული, ეს რატომ მკითხეს, რა უნდათ ჩემგანო?!" რომამ მითხრა - "უკან რომ წამომიყვანეს, ისინიც მაყუჩიანი იარაღებით იყვნენ და აღმოსავლური კილო ჰქონდათ. ნუთუ უნდა მომკლანო?!" რატომ უნდა მოგკლან-მეთქი, - ვკითხე შეშფოთებულმა, რაზეც მომიგო – "მე არაფერი არ ვიცი, მე არაფერი გამიკეთებიაო."**

2008 წლის სექტემბერში, ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ შავაძეების ოჯახის ახლობელ ექიმს, რომელმაც ჯარისკაცის ცხედარი დაკრძალვამდე დაათვალიერა. კიდევ ერთხელ, მოკლედ გთავაზობთ ექიმის ნაამბობს, მაგრამ მის ვინაობას, ჯარისკაცის ოჯახის თხოვნით, კვლავ ვერ ვასახელებთ:

**"წინა მხრიდან 22 შემავალი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მთელ სხეულზე – ჰემატომები. მარცხენა ბარძაყი მოტეხილი იყო, ოღონდ ამას ტყვიას ვერ დავაბრალებ - აშკარად ეტყობოდა, რომ მოტეხეს. მარცხენა ხელი, შუა მკლავთან წრეზე შემოკერილი და დამოკლებული ჰქონდა, მარჯვენა ხელი - მოტეხილი. თავის არეში მარცხენა ყურიდან მარჯვენამდე მთლიანად გადაკერილი იყო; ნატყვიარი არ ჩანდა და რატომ, არ ვიცი. ეტყობოდა რომ სახეში "დუბინკა", ან სხვა რამ ჰქონდა ნარტყამი.**

**ნიკაპზე, მარცხენა მხარეს 12 ნაკერამდე ჰქონდა, მაგრამ არა ტყვიისგან მიყენებული ჭრილობით. მარცხენა ხელზე 2 თითი მოტეხილი და გადაგლეჯილი, კანზე იყო ჩამოკიდებული. სავარაუდოდ ხერხემლის მეშვიდე მალა ჩატეხილი ჰქონდა; კისრის გადატეხვა ალბათ, მაშინ მოხდა, როცა აიყვანეს, რადგან თავად ძალიან დიდი და ფიზიკურად ძლიერი იყო და თუ უკნიდან არ მიეპარებოდნენ, ისე ვერ წააქცევდნენ. დაახლოებით 5 ავტომატი მაინცაა ნახმარი, ზოგი ტყვია ახლოდანაა მოხვედრილი, ზოგი შორიდან**

**- ჩემი აზრით, ნაწვალებია და მერე დაცხირულული."**

იმას, რომ ჯერ **"ნაწვალებია და მერე დაცხრილული"**, ადასტურებს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ **"ვექტორის"** ხელმძღვანელი, ალექსანდრე გეჯაძე, რომელიც პრესა.გე–ს თხოვნით, გაეცნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის მიერ მომზადებულ, შავაძის ცხედრის ექსპერტიზის დასკვნებს, რომელიც პრესა.გე–მ მოიპოვა და მასზე დაყრდნობით, 18 მაისს გამოაქვეყნა მასალა სათაურით – **"პრესა.გე–მ როინ შავაძის ცხედრის ექსპერტიზის დასკვნა მოიპოვა"**.

ჩვენს მიერ მოპოვებული დასკვნით დასტურდება, რომ ომიდან ორი დღის დაბრუნებული ჯარისკაცი ჯერ აწამეს და შემდეგ დახვრიტეს, რაზეც ალექსანდრე გეჯაძე ამბობს: **"ეს დაზიანებები შესაძლებელია განვითარებულიყო ცემის დროს, წინააღმდეგობის გაწევის დროს"**.

როინ შავაძის საქმე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს ორი მუხლით – 108 (განზრახ მკვლელობა) და 260–ე მუხლის მეორე ნაწილის **ა** ქვეპუნქტი (ნარკოტიკული დანაშაული), რომელიც ამჟამინდელი კანონის მიხედვით, 15 წელი შეიძლება გაგრძელდეს. ჯარისკაცის მეუღლე, ციცინო შავაძე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დღემდე არ უცვნიათ; საქმის მასალებს არ აცნობენ შავაძეების ადვოკატს, რამინ პაპიძეს.

მიმდინარე წლის სექტემბერში, რამინ პაპიძემ ამჯერად საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს და მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას საჩივრით მიმართა და კიდევ ერთხელ მოითხოვა საქმის მასალების გაცნობა და ციცინო შავაძის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა.

პაპიძეს ამ საჩივარზე პასუხი გასცა აჭარის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა, გიორგი გრატიაშვილმა, რომელშიც ასეთი რამ წერია:

**"...თქვენი მოთხოვნა უსაფუძვლოა და იგი ვერ იქნება გაზიარებული, იმ გარემოებათა გამო, რომ თქვენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად არ გაგაჩნიათ შესაბამისი სტატუსი, არ წარმოადგენთ პროცესუალურ მხარეს, რაც საფუძველი იქნებოდა თქვენი მოთხოვნის საქმის მასალების სრულად გაცნობის დასაკმაყოფილებლად.**

**რაც შეეხება ციცინო შავაძის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას, მინდა მოგახსენოთ რომ დღეისათვის წინასწარ გამოძიებას არ გააჩნია სათანადო მტკიცებულებები, რაც მიანიჭებდა აწ გარდაცვლილი შავაძის მეუღლეს, ციცინო შავაძეს ზემოაღნიშნულ სტატუსს. კერძოდ, დღეისათვის საქმეზე არ არის მიღებული დამატებითი სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რაც ხელს შეუწყობს საქმეზე სრულყოფილი გადაწყვეტილების მიღებას".**

ნინო მიქიაშვილი

იერი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახდი მიშისტი და მიიღე სამსახური საჩუქრად

სოფო ნოდია (რესპონდენტის სურვილით სახელი და გვარი შეცვლილია) წლების განმავლობაში ტელეკომპანია "იმედში" მუშაობდა. 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს მას ფიზიკური ზარალიც მიაყენეს, შემდეგ იგი სამსახურიდან გამოუშვეს. ორ გაზეთში მისი ინტერვიუც დაიბეჭდა, სადაც ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე საუბრობდა, რის გამოც მას საქართველოში ცხოვრება აღარ სურდა. ეს განცხადება, როგორც თავად ამბობს, საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

საქინფორმის ჟურნალისტს მან საკმაოდ გულწრფელად (მაგრამ შიშით) ასეთი ამბავი უამბო:

**„როდესაც მე იმედიდან წამოვედი, საერთოდ აღარ მინდოდა სამსახურის დაწყება, სამსახური კი არა, საერთოდ საქართველოში ცხოვრება აღარ მინდოდა. მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, წასვლა ვერა და ვერ მოვახერხე. 2 წელი სახლში ვიყავი, მაგრამ შემდეგ უკვე მატერიალური პრობლემების გამო სამუშაოს ძებნა დავიწყე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მონაცემებით ყველა იმ კრიტერიუმს ვაკმაყოფილებდი,რასაც ითხოვდნენ, სამსახური ვერსად ვიშოვე. თავიდან ძალიან მიკვირდა, თუმცა უიღბლობას ვაბრალებდი. ერთ დღესაც ჩემმა მეგობარმა დამირეკა, რომელიც მერიაში მუშაობს და მითხრა, რომ ზუსტად ჩემნაირი კადრი სჭირდებოდათ. მე, რა თქმა უნდა, იმ დღესვე მივედი განყოფილების უფროსთან გასაუბრებაზე და თითქოს შევთანხმდით კიდეც. გამოსვლის წინ ჩემმა მეგობარმა ჩუმად გამაფრთხილა, ახლა მთელ შენს ცხოვრებასა და პოლიტიკურ პოზიციას შსს გადახედავს და არავისთან არაფერი ზედმეტი არ თქვა და შენი ოჯახის წევრებიც გააფრთხილე, რომ მიშა ადიდონ და აქონო. 1 თვე რომ გავიდა და არავინ დამირეკა, მე თვითონ შევეხმიანე ჩემს მეგობარს და მან ასეთი პასუხი გამცა, ეგ ადგილი, უფროსის გადაწყვეტილებით, საერთოდ გაუქმდაო. სწორედ მაშინ მივხვდი, რაშიც იყო საქმე - მე ჩემი სტატიების (რისი ნახვაც შსს-ს არ გაუჭირდებოდა) და წინა სამუშაო ადგილის მიხედვით, მათი აღქმით, ოპოზიციონერი ვიყავი და მათ გუნდს არ შევეფერებოდი, ამიტომ იმ ადგილზე, ალბათ, ისევ უფროსის ან რომელიმე ფინია ხელქვეითის ბიძაშვილი აიყვანეს. მერე რა, რომ მე მათთვის შესაფერისი კადრი ვიყავი, ისიც ისწავლის და, რაც ყველაზე მთავარია, ის მიშისტია".**

მიუხედავად დიდი სამუშაო გამოცდილებისა, სოფო დღესაც უმუშევარია და, როგორც გვითხრა, სანამ მიშა იქნება, ისიც დიასახლისის ამპლუას ბოლომდე გაითავისებს.

ჩვენი ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ თვითონ კარგავს თავისი მოსახლეობის მხარდაჭერას. განა თვითონ არ ამბობენ, როდესაც დემოკრატიულ ქვეყანაში განათლებული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე 26 წლის ადამიანი მხოლოდ იმიტომ ვერ შოულობს სამსახურს, რომ განსხვავებული პოზიცია და შეხედულებები აქვს, რომელ დემოკრატიაზე და ობიექტურობაზეა საუბარი?!

**სააგენტო საქინფორმი**

# ქართული პოლიტიკის "ლაბირინთები"

ქართული საზოგადოება, რომ გახლეჩილი და პარალიზებულია ახალი სულაც არ არის და დიდი ხანია ერის ტრაგედიად არის ქცეული. მაგრამ საშველი ვერც ოპოზიციის გაერთიანებას დაადგა – სულ უფრო მეტად იხლიჩება და სხვადასხვა ბანაკად **"ჯგუფდება"**. დღეს ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში სახეზეა ოპოზიციის ოთხი ბანაკი:

I. **კონსტრუქციული ოპოზიცია** (ე.წ. ოპოზიციური რვიანი) მუდმივად მზადყოფნას გამოთქვამს ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ და გვპირდებიან, რომ მოლაპარაკების გზით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დადებითად გადაწყვეტას შეძლებენ. მართალია კონსტრუქციულობა გამორიცხავს რადიკალურობას, მაგრამ უცნობია, მოლოდინების მიუხედავად რამდენად ნაყოფიერი იქნება ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები (საარჩევნო კოდექსი რომ შესაცვლელია. ამაზე ყველა თანხმდება ხელისუფლების გარდა). ან არასასურველი შედეგის პირობებში (რის ალბათობაც ძალიან დიდია) თუ რას მოიმოქმედებენ ისინი გაურკვეველია. თუმცა ასეთი თანამშრომლობით ოპოზიციაზე უფრო მეტად ხელისუფლებაა დაინტერესებული, რადგან ხელისუფლებას ეს პროცესი დროის გასაწელად, საზოგადოების უკმაყოფილების დასაშოშმინებლად და დასავლეთის წინაშე თავის მოსაწონებლად სჭირდება, ვიდრე ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ისევე როგორც წინა **„თანამშრომლობითი"** პროცესი, რომელსაც **„საკონსტიტუციო კომისია"** ერქვა. როგორც ცნობილია, მიუხედავად საკონსტიტუციო კომისიაში ოპოზიციის წარომადგენლების და ექსპერტთა დიდი ნაწილის მონაწილეობისა, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიმართ საზოგადოების ნდობა მინიმალურია. ამის მიზეზია ის, რომ ხელისუფლებამ მართალია იმსჯელა ოპოზიციასთან და საზოგადოებასთან ერთად, მაგრამ მისთვის სასურველი ვარიანტის მიღება უზრუნველჰყო. თუმცა ეს პრეცედენტი არ გამხდარა დაბრკოლება ე.წ. **"კონსტრუქციული ოპოზიციისათვის"**, წამოეწყო ახალი თანამშრომლობითი პროცესი ხელისუფლებასთან **"ახალი საარჩევნო კოდექსის"** შესამუშავებლად, იმ პირობებში როცა არანაირი გარანტია არ არსებობს საარჩევნო კოდექსიც კონსტიტუციის ახალი რედაქციის ბედს რომ არ გაიზიარებს. მაგრამ მაინც ერთვებიან ამ პროცესში. ისმის კითხვა რატომ? – ეს ორნაირად შეიძლება აიხსნას: ან ოპოზიციის ამ ნაწილს დიდი წარმოდგენა აქვთ თავიანთ პოლიტიკურ წონასა და შესაძლებლობებზე, ან მსგავს პროცესებში მონაწილეობით და ნომინალური პოლიტიკური აქტიურობით (საზოგადოებას რომ არ დაავიწყდეს) ცდილობენ გადააგორონ დრო, სანამ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში არჩევნები არ ჩატარდება.

II. **პასიური რადიკალები** (**"სახალხო წარმომადგენლობით კრებაში"** შემავალი პარტიები). გასული თვის **„პოლიტიკური მოვლენა" „სახალხო წარმომადგენლობითი კრების"** დამფუძნებელი ყრილობა იყო, რომელიც ღია ცის ქვეშ ჩატარდა (პარლამენტის წინ). სადაც საგანგებოდ **„შეიქმნა"** უამრავი **„ორგანო"** და მიღებულ იქნა **„მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები"** (როგორიცაა პრეზიდენტის გადაყენება, მთავრობის დათხოვნა და ა.შ.). ამ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ოპოზიციის მოუმწიფებლობა და საზოგადოების იმედგაცრუებამ ოპოზიციისადმი იმატა, რადგან სახალხო კრების მიმართ არსებობდა მოლოდინები საზოგადოებაში, რომ თითქოს ის უნდა გამხდარიყო ხელისუფლების რეალური ალტერნატივა, რომელიც რადიკალური და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმით შეცვლიდა ხელისუფლებას. თუმცა ის იმდენად ამორფული და უპერსპექტივო გამოდგა, რომ საზოგადოება შოკში ჩააგდო. საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ სახალხო კრება არ არის რეალისტური პროექტი ხელისუფლების შესაცვლელად. რადგან სახალხო კრება, რაღაც ეფემერულ, ბავშვურ თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ პოლიტიკურ პროექტს. ოპოზიცია არ ითვალისწინებს საერთშორისო არენაზე არსებულ რეალობას, არ უღრმავდება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და რაც ყველაზე მთავარია არ უგდებს ყურს საზოგადოების მაჯისცემას. ამ ყველაფერს კი მივყავართ საზოგადოების აბსოლუტურ იმედგაცრუებამდე, როცა საზოგადოება ხელისუფლებასთან ერთად ოპოზიციასაც აღარ ენდობა. სახალხო კრების მომავალი იმდენად ბუნდოვანია, რომ მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები და საზოგადოების წარმომადგენლები პოლიტიკურ უფსკრულში შთაინთქმებიან თუ დროზე არ გააცნობიერებენ ამ **„კრებულის"** აბსურდულობას.

III. **უტოპისტი–რადიკალები** (**„ქართული პარტია"** და მისი გარემოცვა) მათი რადიკალიზმის უპირატესობა გამოიხატება მათ წარმოდგენებსა თუ შეხედულებებში, რომ თითქოს ისინი არიან ხელისუფლების რეალური ალტერნატივა (ამას მთელი თვითდაჯერებულობით აპრიორი ამტკიცებენ) და თუ ხელისუფლება ნებით არ დათმობს ძალაუფლებას, რევოლუციის ორგანიზატორებად მოგვევლინებიან თურმე. მართალია ხელისუფლების პოლიტიკა იძლევა საბაბს რევოლუციის მოსახდენად, მაგრამ მათ ავიწყდებათ რომ დღევანდელი ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები გაცილებით უფრო ძლიერი და მოდერნიზებულია ვიდრე 1991-92 და 2003 წლებში იყო. ამიტომ მინიმალურია რევოლუციის წარმატებით განხორციელების ალბათობა. გარდა ამისა, რევოლუციის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებაც უარყოფითია 2003 წლისგან განსხვავებით. ასევე **„ქართულ პარტიას"** მოუწევს საზოგადოების უდიდესი ნაწილის და მთელი ოპოზიციური სპექტრის მიმხრობა, რასაც ეს პარტია ვერასდროს შეძლებს – ოპოზიციონერი ლიდერებისათვის დამახასიათებელი პიროვნული ფაქტორებიდან და მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე.

IV. **ბუნებით რადიკალებს** ლეიბორისტები წარმოადგენენ. ლეიბორისტები მუდმივად ოპოზიციაში არიან (მაშინაც კი როცა იმარჯვებენ) და მათი **„მოძრაობა" „უძრაობით"** უფრო ხასიათდება, ვიდრე პოლიტიკური წარმატებით. როგორც წესი, ლეიბორისტები არცერთ პარტიასთან არ ქმნიან ალიანსს და ხელისუფლების საწინააღმდეგოდ რადიკალური და კრიტიკული განცხადებებით შემოიფარგლებიან (თუმცა არც სხვა ოპოზიციური პარტიების მიმართ გამოხატავენ **"კეთილგანწყობას"**). მათ მართალია ჰყავთ მუდმივად სტაბილური ელექტორატი, თუმცა პოლიტიკურ ამინდს ქართულ პოლიტიკაში ვერ ქმნიან. საინტერესოა ამ დაჯგუფებებიდან რომელი შეძლებს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას? – რთული სათქმელია, რადგან არცერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას პოლიტიკური ბრძოლის მოკლევადიანი (გრძელვადიანზე რომ არაფერი ვთქვათ) სტრატეგია არ აქვს შემუშავებული, მხოლოდ პოპულისტური განცხადებებით შემოიფარგლებიან.

ოპოზიციას შემოქმედებითობა აკლია. უკვე ოცი წელია ქართული პოლიტიკა ანტისაბჭოთა (80-იან წლების დროინდელი რიტორიკით) პროპაგანდის ინერციით ცდილობს მოძრაობას – აქციებისა და დემონსტრაციების რიტორიკა მუდმივად აქტუალურია. მუდამ **"რევოლუციის"** და **"გადატრიალების აჩრდილი"** დაძრწის რუსთაველის გამზირზე. თუმცა ოპოზიცია ვერ ითვალისწინებს ახალ რეალობას: თუ კი 80-იან წლების ბოლოს ოპოზიციის წარმატებას საბჭოთა ტირანიისაგან შევიწროებული ხალხის უკმაყოფილებასთან ერთად, საბჭოთა მმართველობის უუნარობა, ეკონომიკური განუვითარებლობა და რაც მთავარია საბჭოთა სახელმწიფო იდეოლოგიის მთავარი ორიენტირის – კომუნიზმის, როგორც სასურველი რეალობის სიყალბე განაპირობებდა, რაც ეროვნულ ძალებს მოქმედების და პოზიციონირების საშუალებას აძლევდა. ეს იყო პროცესი როცა ხალხის ენერგია ქვეყნის სასიკეთოდ იქნა გამოყენებული. თუმცა ეროვნული ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის წიაღში შობილმა **"ეროვნულმა ძალებმა"** დაამხეს, მაგრამ არაეროვნული კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, არამედ ბნელი და გარე ძალების ხელში ბოროტების იარაღად იქცნენ. საზოგადოების მხარდაჭერის მიუხედავად ეროვნულ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა ძალა ამ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად. მიზეზი მარტივია – საქართველო უმწეო თოთო ბავშვის მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო იყო, რომელსაც საჭირო რესურსი არ გააჩნდა. **"ვარდების რევოლუციის"** წარმატების მიზეზიც გასაგებია: შევარდნაძე, როგორც პიროვნება საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობდა, თუმცა აბსოლუტურად დისკრედიტირებული იყო მისი ხელისუფლება. გარდა ამისა საზოგადოების უკმაყოფილებამაც პიკს მიაღწია ასეთ დროს ერთმანეთს ორი უმნიშვნელოვანესი – საგარეო და საშინაო ფაქტორი გადაეჭდო, რაც გახდა კიდეც ე.წ. **"ვარდების რევოლუციის"** წარმატების მიზეზი. მიუხედავად საზოგადოებაში დღეს არსებული უკმაყოფილებისა, ხელისუფლება სუსტი არ არის, რომ რევოლუცია დაუშვას, გარდა ამისა აქვს საერთაშორისო კავშირები, საერთაშორისო არენაზე პოზიციონირებას უკეთ ახერხებს ვიდრე ოპოზიცია და მასთან იგივე მეთოდებით ბრძოლა ყოველთვის უშედეგო იქნება.

ოპოზიცია წარმატებას მაშინ მიაღწევს, როცა არა მარტო ხელისუფლების შეცვლაზე იფიქრებს, არამედ თითოეული მოქალაქის პრობლემებს გაითავისებს და მის მოსაგვარებლად თავდაუზოგავად იბრძოლებს. რადგან მარტო ხელისუფლების ცვლილება საზოგადოების პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ოპოზიცია ვალდებულია აუხსნას საზოგადოებას თუ რა იქნება ამ ცვლილების შემდეგ.

ზოგადად ქართულ პოლიტიკაში რადიკალიზმი და რევანშისტული განწყობები საკმაოდ გავრცელებული მოვლენებია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ოპოზიციის ლიდერთა დიდი ნაწილი ხელისუფლებიდან წამოსული ან გამოშვებულია, ამიტომ ამ **„განდგომილ ლიდერებს"** საზოგადოების კეთილდღეობაზე უფრო მეტად ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ხელისუფლებაში მოსვლა აინტერესებთ. (ასე იყო 2003წ. ე.წ. **"ვარდების რევოლუციისას"**, რადგან **"ვარდების ხელისუფლება"** არ ყოფილა ციდან მოვლენილი უფლის წყალობა. ისიც იმ კორუმპირებული და დანაშაულებრივი ხელისუფლების პირმშო იყო და მათაც შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკანონობაში იმდენი წვლილი მიუძღოდათ, რამდენიც დღევანდელი ოპოზიციის ძირითად ნაწილს, ე.წ. **"განდგომილ ლიდერებს"** დღევანდელი ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებებში.) ამიტომაც ძლიერია მათში რევოლუციის და გადატრიალების სურვილი, თუმცა გამბედაობა და პიროვნული რესურსი არ ჰყოფნით ასეთი მასშტაბური პროცესის წამოსაწყებად.

მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ რევოლუცია და გადატრიალება სასურველი შედეგის მომტანი არ იქნება საზოგადოებისათვის (ასევე ქვეყნისათვის). დადგა დრო როცა ოპოზიციურმა პარტიებმა გადადონ გვერდზე პოლიტიკური ამბიციები და ერთობლივად შეიმუშაონ რეალისტური პოლიტიკური პროექტი, რომელიც პრაგმატიზმზე და ქართული პოლიტიკის ძირეულ ანალიზზე იქნება დაფუძნებული.

**ზურაბ ჯამბურია,**
**პოლიტოლოგი**

# ბატონი ზაურ ქობალია 70 წლისაა

*სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთები "ილორი" და "საქართველო და მსოფლიო", არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობა", საინფორმაციო სააგენტო "საქინფორმი", საქართველოს ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლები ულოცავენ ბატონ ზაურ ქობალიას დაბადებიდან 70 წლის იუბილეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!*



საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ზაურ დავითის ძე ქობალია დაიბადა 1940 წლის 27 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში.

1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1961 წელს კი ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1961 წელს ბატონმა ზაურმა ჩამოაყალიბა არალეგალური ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. 1963 წელს ზაურ ქობალია ამ ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა, სასამართლომ კი მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელი სრულად მოიხადა შორეული მორდვეთის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

სასჯელის მოხდის შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ ზუგდიდში და მუშაობდა ენგურის ქაღალდის გადამამუშავებელ კომბინატში. პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. მაგრამ როგორც საბჭოთა ხელისუფლებისაგან ყველა შერისხულზე, ზაურ ქობალიაზეც დაწესებული იყო მკაცრი მეთვალყურეობა, რის გამოც იგი მუდმივი დევნა-შევიწროების სამიზნე გახლდათ. სწორედ ამიტომ, მიუხედავად მდიდარი ლიტერატურული შემოქმედებისა, მისი არცერთ ნაწარმოები კომუნისტურ პრესაში არასდროს არ გამოქვეყნებულა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ზაურ ქობალია აქტიურად ჩაება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობაში. იგი იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, შემდეგ კი გაწევრიანდა ჰელსინკის კავშირშიც. 1990 წლის ოქტომბერში საარჩევნო ბლოკ "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" შემადგენლობაში არჩეული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად.

მიუხედავად დიდი საფრთხეებისა, დასახული მიზნისაკენ ჟინიანმა ლტოლვამ და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვრულმა თავისი შედეგი მოიტანა და ბატონმა ზაურ ქობალიამ აიხდინა ახალგაზრდობის ის ოცნება, რისთვისაც 5 წელიწადი გაატარა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში – მან ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში ბატონი ზაური იყო ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. ავადსახსენებელი პუტჩის შემდეგ ხელმძღვანელობდა დაუმორჩილებლობის კომიტეტს. 1994 წლის 25 იანვარს მას ედუარდ შევარდნაძის უკანონო რეჟიმი აპატიმრებს და 13 წლით პატიმრობას უსჯის. ამ განსაცდელმაც, რომელიც 2000 წლამდე გაგრძელდა, ვერ შეარყია ზაურ ქობალიას სულიერება და პოლიტიკური მრწამსი – მას უკან არასოდეს არ დაუხევია და ყოველთვის მედგრად უმკლავდებოდა საქართველოს ბანდიტური ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილ პრობლემებს.

ბატონი ზაურ ქობალია ამჟამად ეწევა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობას. გამოქვეყნდა მისი რომანი "სტუმარი", გამოსაცემად ამზადებს ლექსებისა და პოემების კრებულს. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილისშვილი.

სახალხო მოძრაობა
"სამეგრელო",
გაზეთი "ილორი".

## გილოცავ! ჩემო ზაურ!

დავბერდიო – მითხარი ამას წინათ, მერე დანანებით ესეც წამოგცდა – ზური, ჩვენ დავმარცხდითო!

სიბერეზე კატეგორიულად არ დაგეთანხმე! ხოლო, რაც შეეხება ჩვენს დამარცხებას, – ვაგლახ, ამის უარყოფა მე ვერ შევძელი!

ვაი, რომ ეს მართლაც ასეა!

ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლო კოლხეთი და იბერია გაქრობის ზღვარზე დგას და ჯერჯერობით თითქოს საშველიც არ ჩანს!..

და მაინც, ვიქონიოთ იმედი, რომ ღვთის მადლით, ერის წიაღში იმძლავრებს თვითგადარჩენის რეფლექსი და ხსნაც უცილობლად მოვა!

შენ კი, ჩემო ზაურ! ჩემო ძმაო და მეგობარო! გილოცავ 70 წლის იუბილეს! დიდხანს იცოცხლე და მოესწარი ნამდვილად დამოუკიდებელ საქართველოს! ისეთ საქართველოს, რისთვისაც იბრძოდი და იბრძვი დღესაც!

გაიხარე შენს სათნო მეუღლესთან, შვილებთან და შვილისშვილებთან ერთად!

მრავალი შობა-ახალი წელი ბედნიერად გაგთენებოდეს!

**შენი ძმა ზურაბ კვარაცხელია.**

## *მოგესალმები და გილოცავ!* რა იცის ღურუმ?!

ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გზა გამოვიარეთ. ამ მოძრაობაში, რომელმაც ეროვნული ხელისუფლება მოიყვანა და დამოუკიდებლობა მოუტანა საქართველოს, ალბათ ყველაზე ახალგაზრდა მეტად მე გახლდით და თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ისეთ დიდებულ პიროვნებებთან მომიხდა ურთიერთობა, რომელთა ცხოვრებისეული მიზანი ექვთიმე თაყაიშვილისა არ იყოს, სამშობლოს თავისუფლება და უანგარო სიყვარული იყო. მათ რიგებს მეწინავეობს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დისიდენტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ზაურ ქობალია.

ბატონი ზაური 70 წლის გამხდარა და მისი საინტერესო ცხოვრებისათვის გარედან თვალმზირალს მიმაჩნია, რომ ცხოვრება მისი ერთ ლამაზ ხეს მოჰგავს, მდინარის პირას ამოსულს, ქარტიალთან მუდმივი ბრძოლით დაჯიჯგვულს და მუდმივად მზისა და გაზაფხულის, ჟუჟუნა წვიმისა და ზაფხულის, ბადრი მთვარისა და შემოდგომის, თოვლფაფუკისა და ზამთრის მომლოდინეს.

პატიოსნების და სიკეთის კაცად მოზღაპრულე ზაურ ქობალია, ჯეგე მისარონის მეკვალდიდებასავით მუდმივ რაღაცის მოლოდინსა და ძიებაშია, ახალბიჭური მონდომებით შემგებებელი საქვეყნო თუ ადამიანური წარმატებებისა. მოლოდინი კი ერთია – სამშობლოსა და მშობელი ხალხის ბედნიერება.

გაზეთის შეზღუდული ფორმატის გამო ვერ ვახერხებ შესაფერისი პორტრეტის შექმნას, მაგრამ ერთს ვიტყვი პირდაპირ: ზაურ ქობალია – მართალი ქართველი, ძალგულოვანი კოლხი და საიმედო მამულიშვილია, რომელიც მიყვარს და მენატრება...

მადლობას ვუხდი მაგალითადსაყოფი ქართველობისთვის, დიდებული ოჯახისათვის და ერთი რამისათვის, ასეთი საოცარი რუდუნებითა და გულდაუდლელად რომ უვლის უკვე რამდენი ხანია თავის ძვირფას, მის ქარტალღიან ცხოვრებას ერთგულებით შეწირულ მეუღლეს. იქნებ ეს უფრო დიდი კაცობაა და ღმერთთან მიახლოების უმოკლესი გზაც!

უფალმა მეორე იმდენი ხნისა მოგყაროთ, ზაურ ბატონო! მინდა ძალიან დიდხანს, დიდხანს იცოცხლოთ ამ ქვეანაზე. ჩვენ ღმერთობაჩამორთმეული **ოდოიას** შთამომავლები ვართ და მისადმი აღვლენილი ლოცვა-სიმღერის ნამდვილ ტექსტში, კომუნისტებმა სასაცილოდ რომ დაამახინჯეს, ასეთი სტრიქონებია: **"მუ უჩქუ ღურუსი, რინასიე შურიშ ყოფუა"** (რა იცის სიკვდილმა, ყოფაშია სულის სავანე).

ჰოდა, რა იცის ღურუმ, ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ – ამინ!

ლაშა გვასალია

## ვულოცავ!

ბატონი ზაურ ქობალია ღვაწლმოსილი პიროვნებაა. ის უანგაროდ იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ვაჟკაცურად იტანდა მრავალ გასაჭირს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ბატონ ზაურს დიდად აფასებდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც მასში ერთგულ თანამებრძოლს და პრინციპულ მამულიშვილს ხედავდნენ.

ბატონი ზაურ ქობალია დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მესაძირკვლეა. თავმდაბალი, ალალმართალი და ღრმა შინაგანი კულტურის მქონე ეს ადამიანი დაუყვედრებლად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა საქვეყნო საქმეს. ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი პირველი დამცველი და ჭეშმარიტად სახალხო დეპუტატი.

ვულოცავ ბატონ ზაურს დაბადებიდან 70-ე წლისთავს და ვუსურვებ კვლავ დიდხანს ეღვაწოს სამშობლოს საკეთილდღეოდ!

უღრმესი პატივისცემით,

თემურ ქორიძე

## *"ახლა ისეთი დგას განრიდება, თითქოს მიწაზე აღარც ვყოფილვარ"*

## ნაპირი

"ელვარებდა ნაპირი
სამუდამო მხარეში"
გალაქტიონი

**დაუშვით აფრები!**
**ჩაუშვით ღუზა!**
**აჰა, მოვედი აღთქმულ ნაპირთან,**
**დასრულდა წრფელი მარათონი**
**ცხელი მიზნების,**
**გამოჩნდა თეთრი ლოდინის ფერი –**
**ჩემი ლტოლვის თეთრი სიმყარე.**
**ამ ნაპირზეა გაფენილი**
**ჩემი არსის ყველა ხაზები,**
**გადმოიტანეთ ღმერთის კურთხევა,**
**გადმოიტანეთ წყევლაც და დარდიც,**
**ო, გადმოტვირთეთ ნისლები ვრცელი,**
**და გადააცვით ამ ველურ ფერდობს,**
**გადმოტვირთეთ ჩემი ფიქრები**
**და აქ დამარხეთ, ამ სიჩუმეში.**
**გადმოასვენეთ მშვენიერების ლურჯი ხატი,**
**მთელი სიცოცხლე თაყვანს**
**რომ ვცემდი,**
**გადმოქაჩეთ ჩემი სისხლი – წრფელი**
**ლოცვები.**
**შემომეგებე თეთრო ნაპირო,**
**ეს მე მოვედი,**
**შენი სუნთქვის ერთი ნაწილი,**
**ო, გამისწორე თვალი, წარსულო,**
**იმედი მაქვს, არ შეგრცხვება ჩემთან**
**ნავარდი.**
**გაჭიმეთ თოკი ნაპირამდე,**
**გაჭიმეთ თოკი!**
**ამ ბეწვის ხიდზეც შემოვდგა ფეხი,**
**ფიანდაზებად მოაფრქვიეთ**
**ხალიჩების მზერა,**
**მე დინჯად უნდა შევაბიჯო**
**გრაალის კოშკში**
**და ჩემი ძმების სულთმოფენას**
**გავანდო დარდი.**

* * *

**ჩემო ლოცვებო, ჩემო ცხვრებო**
**მგლების ხროვაში,**
**მხოლოდ თქვენ გადევთ მაისის**
**ყვავილის ფერი,**
**თქვენს უკან, ტყეში გაიხედეთ,**
**რა ხმაურია,**
**რქოვან გველებმა ერთმანეთი**
**ზე-ზე შესანსლეს.**
**აჰა, იქცევა ყოფის ტაბაკი.**
**და დასაბამის თოკი დაღრღნეს**
**დროის თაგვებმა.**
**მიწა ქანაობს და ბარბაცებს**
**მეფისტოფელი,**
**და დაძრწის ტყეში შიშველი ნიმფა,**
**სურს რომ აცთუნოს ცხოვრების კაცი,**
**სურს რომ გახადოს და**
**გააშიშვლოს,**
**რომ გამოუჩნდეს ეშმაკის კუდი.**
**ვერ ხედავთ, როგორ დაჯირითობს**
**ცხოვრების ეტლი,**
**ბორბლები ძვრება, მაგრამ ვინ**
**ხედავს?!**
**ყველა მგზავრი მთვრალია ერთობ.**
**ხელში უჭირავთ ცივი მარყუჟი –**
**დასასრულის ცხელი აღვირი.**
**ჩემო ლოცვებო,**
**ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენს**
**უკან სიბნელის ტყეა,**
**ამ სიბნელეში მიერეკება ღმერთი**
**მომაკვდავთ გადასაჩეხად.**
**რადგან არ უნდათ სინათლეზე**
**ნებით გამოსვლა.**
**და როცა ყოფა არ იქნება,**
**თქვენ სად იქნებით,**
**ჩვენ ხომ აქამდე გვაცილებდა**
**თქვენი ალმური.**
**თუ თქვენ ახლავე ჩემთან**
**წამოხვალთ,**
**ჩემს სიხარულთან ერთად**
**დაგაწვენთ და**
**ჩემთან დარჩებით**
**სამარადისოდ!**

ზაურ ქობალია

## მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

**მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.**
**ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.**

### კევინ კიგანი

დაიბადა 1951 წლის 14 თებერვალს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბებში **"სკანტორპა", "ლივერპული"** (ინგლისი), **"ჰამბურგი"** (გფრ), **"საუტჰემპტონი", "ნიუკასლი"** (ინგლისი).

კევინ კიგანი ერთადერთი ინგლისელი ფეხბურთელია, რომელიც ორჯერ გახდა ევროპის წლის საუკეთესო მოთამაშე. 1971 წელს ეს ფეხბურთელი **"ლივერპულმა"** შეიძინა **"სკანტროპასაგან"** 35.000 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგად, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხად ითვლებოდა. თავიდან კევინ კიგანი საკმაოდ წარმატებულად თამაშობდა თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ მაღალი ტექნიკისა და ამოუწურავი ფანტაზიის წყალობით იგი მთელ ფეხბურთის მოედანს **"მოედო"** და თავისუფალ მოთამაშედ მოგვევლინა. კიგანი მოწინააღმდეგე გუნდის დაცვის **"რისხვად"** იქცა და მასზე მუდმივ მეთვალყურეობას აწესებდნენ მაშინაც კი, როცა მოედნის საკუთარ ნახევარზე იმყოფებოდა, რადგან, არავის იცოდა როდის **"აფეთქდებოდა"** და ბურთიანად წინ გაიჭრებოდა. **"ლივერპულის"** შემადგენლობაში კიგანი ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ხოლო 1977 წელს, როცა მისი გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა, კიგანი **"ჰამბურგში"** გადაბარგდა. სამწუხაროდ, ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში წაიფოროხილა, როცა **"ნოტინგემთან"** წააგო. ინგლისში დაბრუნების შემდეგ კიგანს **"მეორე სუნთქვა"** გაეხსნა, რაც აშკარად აისახა **"საუტჰემპტონისა"** და **"ნიუკასლის"** შედეგებზე. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კიგანმა მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და მალე დაინიშნა ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად, თუმცა ამ ამპლუაში დიდი წარმატებებისათვის არ მიუღწევია.

### როი კინი

დაიბადა 1971 წლის 10 აგვისტოს, ირლანდიაში.

სხვადასხვა დროს თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"კობ რამბლერსი", "ნოტინგემ ფორესტი", "მანჩესტერ იუნაიტედი"** (ინგლისი).

როი კინი სავსებით სამართლიანად ითვლება ინგლისური პრემიერ-ლიგის ყველაზე გამოჩენილ, ეფექტურ ნახევარმცველად. მან ფეხბურთის თამაში ირლანდიის ქვედა საფეხბურთო ლიგაში დაიწყო. სწორედ აქ გაბრწყინდა მისი ნიჭი, რის გამოც კინზე კბილების ლესვას შეუდგნენ ინგლისის პრემიერ-ლიგის უძლიერესი გუნდები. მათ შორის ყველაზე მკვირცხლი და **"ფულიანი" "ნოტინგემ-ფორესტი"** აღმოჩნდა, რომელმაც საკმაო საზღაურად **"დაითრია"** კიდეც როი კინი. 1993 წელს როი კინისადმი ცხოველი ინტერესი გამოავლინა მსოფლიოს ერთ-ერთმა პოპულარულმა **"მანჩესტერ იუნაიტედმა"**, რომელმაც 3 მილიონი ფუნტი სტერლინგიც კი არ დაიშურა ამ მართლაც გამოჩენილი ფეხბურთელის შესაძენად. სწორედ ამ ფეხბურთელის ლომის წილი იდო იმაში, რომ **"მანჩესტერ იუნაიტედმა"** 1995-1996 წლების საფეხბურთო სეზონში **"ოქროს დუბლი"** გაიფორმა – ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასის მფლობელიც გახდა. ამ დამსახურებებისათვის როი კინი მალე გუნდის კაპიტნად იქნა არჩეული. მომდევნო წლების სეზონი არც თუ მთლად სახარბიელო აღმოჩნდა **"მანჩესტერ იუნაიტედისათვის"** და ამის მიზეზად ფეხბურთის ინგლისელი სპეციალისტები ასახელებდნენ როი კინის სერიოზულ ტრავმას. 1999 წელს **„მანჩესტერი"** პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ გუნდად იქცა, რომელმაც **"ოქროს ჰეთ-თრიკი"** გაიფორმა, თუმცა, ევროთასის წარმატებულ ფინალში კინს არ უთამაშნია, რადგან წინა მატჩში გაძევებული იყო მოედნიდან.

### მარიო ალბერტო კემპესი

დაიბადა 1954 წლის 15 ივლისს, არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში **"ინსტიტუტო კორდოვა", "როსარიო სენტრალ"** (არგენტინა), **"ვალენსია"** (ესპანეთი), **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა), **"ერკულესი"** (ესპანეთი), **"ვიენა", "აუსტრია"** (ავსტრია).

ახალგაზრდა, ფეხბედაკუნთული არგენტინელი ფეხბურთელი არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში პირველად 1974 წელს გამოჩნდა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ამის შემდეგ, მალე, მარიო კემპესთან ხელშეკრულება გააფორმა ესპანეთის კლუბმა **"ვალენსიამ"**, სადაც გამოვლინდა ამ ფეხბურთელის, როგორც ცენტრალური თავდასხმის ხაზზე მოთამაშე ფორვარდის, მართლაც უნიკალური შესაძლებლობები. იგი გახლდათ ერთადერთი ლეგიონერი ფეხბურთელი, რომელიც არგენტინელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუის მენოტიმ ჩართო ნაკრებში მათ სამშობლოში 1978 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. სწორედ მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებამ განაპირობა როგორც არგენტინის ნაკრების, ასევე მარიო კემპესის დიდი წარმატება – კემპესმა 6 გოლი გაიტანა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში (მათ შორის ორი გოლი გაიტანა ჰოლანდიელებთან გამართულ ფინალურ მატჩში) და ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდის წოდება მოიპოვა. პარადოქსულია ის, რომ ამის შემდეგ საკლუბო გუნდებში წარმატებით მოთამაშე კემპესმა დიდ შედეგებს ვეღარ მიაღწია, თუნდაც 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მარიო ისევე იმედიანად გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სამშობლოში და არც გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერა აკლდა.

**გიორგი ჯალაღანია**

## იუმორი

* * *

– რას გევხარ, რა დაგემართა?

– გარეთ რომ გამოვდიოდი, ცოლმა ყვავილები მომაყარა.

– ყვავილები და მასეთი ჭუჭყიანი?

– ყვავილები ქოთანში იდო.

* * *

ებრაელის ნატვრა: ნეტავი გურული მაყიდინა თავის ფასში და იმ ფასად გამაყიდინა, რა წარმოადგენაც საკუთარ თავზე აქვს!

* * *

ეკონომიკურმა კრიზისმა მოიარა მთელი აზია, ევროპა, ამერიკა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა.

* * *

– უცხოეთში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

– ბარები!

–აბა აქ რა ღმერთი გიწყრება, ბარსა და თოხს რომ ვერ გაგაკარებს კაცი!

* * *

ქუთაისელს ძაღლმა უკბინა. ძაღლის პატრონი ნერვიულობს:

– შარვალი ხომ არ გაგიხიათ?

– არა, ქალბატონო, ტოტები ამიკაპიწა და ისე მიკბინა!

* * *

შვილი "ნაციონალ" მშობლებს:

– მე უკვე სრულწლოვანი ვარ, ამიტომ, რასაც მინდა იმას ვიზამ! – და შტეფსელში თითი შეყო.

# გვეხმიანებიან ჩვენი მკითხველები

გაგრძელება მე-8 გვ-დან.

სამეფო სტატუსი არ ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი), რის გამოც საქართველოს მტრები აცხადებენ: **„ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერიაო"** და ამ განაცხადის საპირისპირო მტკიცებულებად და მის უსაფუძვლობის დასადასტურებლად იმ ფაქტს ვერ გამოიყენებთ, არც დაგვიჯერებენ ჩემო კეთილო და მართლმადიდებელო ქრისტიანო, რომ ყველაზე ადრე ქართველი ბავშვი სიტყვა **აღუ**-ს სწავლობს და, ამდენად, დასაბამიდან მოვდივართო, – რაც არ ვუმტკიცოთ.

ჭეშმარიტების სიღრმეებში ჩაუმწვდარი, სომხურ თარგზე გამოძერწილი **„ქართველები"** ვერ უარყოფენ, მაგრამ არ მოსწონთ ჩემი შეხედულებები ლეონტი მროველის მიერ ტენდენციურად დაწერილ **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა"**-ზე და, სამწუხაროდ, თქვენც შეცდომაში ყავხართ შეყვანილი კეთილო მართლმადიდებელო! ამიტომ ჩემი პიროვნების შეუსწავლელად, წინასწარ ნუ შემრაცხავთ ანტიქართველად, როცა ვამბობ: ქართები 523 წლამდე თავის მოძმე იბერებს ემორჩილებოდნენ, შემდგომ 899 წლამდე სამეფოს სტატუსი არ ჰქონიათ და მწიგნობრობა ქართული ვერ განვითარდებოდა, თანაც ცნობილია, რომ იოანე პეტრიწამდე ქართების ენა **მდაბიოთა** ენა იყო (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, 1937, გვ 220), იბერები კი უცხოურ წყაროებში დამწერლობიან ენებს შორის პირველ ნომრადაა მოხსენიებული. ამასთან მრავალი არგუმენტებით დასტურდება, რომ ქართული დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) კაცობრიობის პირველი დამწერლობებია და იაფეტურ-იბერიული წარმოშობისაა (იხ. ჩემი, კოჩა კოლხი, **ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი**, თბ. 2004). შემდგომ კი, იოანე პეტრიწის, იოანე მინჩხის, არსენ იყალთოელისა და სხვა მოღვაწეთა მეცადინეობით, რუსთაველის ეპოქისათვის ქართული ენა კლასიკური ენა ხდება, მაგრამ, რამდენადაც ქართული ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირი ე.წ. მეგრული (იაფეტურ-იბერიული) ენით იხსნება, **ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული არის იაფეტურ-იბერიული განშტოებების – სვანურისა და ქართლურის ამ ძირისეულ ენასთან ისევ კონსოლიდაციით მიღებული ენა, ოღონდ უფრო გამარტივებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გრამატიზირებული ახალი იაფეტურ-იბერიული ენა, ხოლო ე.წ. მეგრული ენა არის იგივე იაფეტურ-იბერიული ენა, ოღონდ კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, არქაული მონაცემების დღემდე მფლობელი ენა და ეს, ორი თითქოსდა, სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც მავანთ სურთ იყოს, არამედ ერთდაიმავე ერის ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.**

როცა ე.წ. მეგრელების (იბერების) უძველესობას უარვყოფთ და მეგრულ ენას ქართულის კილოკავად ვრაცხავთ, ჩვენვე ვამტკიცებთ ქართველი ერის წარმომავლობის გაურკვევლობას, რადგან სახელმწიფოს სახელწოდებით **საქართველო** გარე სამყარო XIV საუკუნემდე არ იცნობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, აფხაზეთის განმარტება) და ნატყუარ **„ქართლის ცხოვრება"**-ს მინდობილნი, კავკასიაში სომხებს ვაძლევთ უპირატესობას, უფრო მეტი, ქართველების წინაპრად ვრაცხავთ და ქართულ მიწებზე პრეტენზიის წამოყენების საფუძველს ვუქმნით. მე კიდევ, განხეთქილება კი არ შემომაქვს ქვეყანაში, ჩემო კეთილო და პატიოსანო მორწმუნენო, არამედ ე.წ. მეგრული ენის მონაცემებით საერთო სალიტერატურო ქართულ ენას და ქართველ ერს კაცობრიობის დასაბამთან ვაკავშირებ.

ჩემი შეხედულებები სამეცნიერო წრეებში კარგა ხანია (2004 წლიდან) იციან, არავინ მედავება მის ჭეშმარიტებაში, მაგრამ რამდენადაც ამ შეხედულებებით ვანგრევ დღემდე ჭეშმარიტებად მიღებულ დოგმებს, ბუნებრივია, ამის აღიარება უჭირთ.

ბატონო ავთანდილ, თქვენს პატრიოტობაში ეჭვი არ მეპარება, გვჯერა, თქვენ მთელი სულითა და გულით გიყვართ სამშობლო, მაგრამ ნუ მიწყენთ და თქვენს წერილში არ ჩანს პროფესიული დონე, თუმცა ის ცოდნაც, რაც თქვენ გამოავლინეთ, რიგით მშნებელს კი არა, ბევრ ინჟინერს არ მოელანდება, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ჭეშმარიტების სიღრმეებში ჩასაწვდომად მეტის ცოდნაა საჭირო. მჯერა, რომ ეს თქვენ შეგიძლიათ და აუცილებელიცაა.

მთელი კაცობრიობის და, განსაკუთრებით, ქართველი ერის ტრაგედია, სწორედ, ისაა, რომ დავივიწყეთ ღვთიური კანონზომიერებები, დავშორდით ღმერთს, ვერ ვფლობთ ჭეშმარიტებებს, ვერ ვარკვევთ რაა სიკეთე და რაა ბოროტება. ხშირად რაც სიკეთეა ბოროტება გვგონია და, პირიქით, რაც ბოროტებაა – სიკეთე, ამიტომაა ქვეყანაში ასეთი სიდუხჭირე, ამიტომ დაეცა ქართველი ერი სულიერად, მორალურად, ეკონომიკურად და გაველურებისაკენ არის მიდრეკილი.

ბევრი მინდა გითხრათ, მაგრამ გაზეთის სპეციფიკა მზღუდავს, თანაც ასაკოვანი კაცი ვარ (74 წლისა) და ასეთი მარტივი წერილების პასუხისთვის დრო აღარ მრჩება. გაზეთის რედაქტორი წინააღმდეგი იყო თქვენი წერილის გამოქვეყნებისა, მაგრამ დიდი თხოვნის შემდეგ ძლივს დავითანხმე, იმ მოტივით, რომ იქნებ, ცოტათი მაინც გამერკვიეთ ჭეშმარიტებაში.

ვინც ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენები არ იცის, ჰგონია, ჩვენი სალიტერატურო ენა მხოლოდ ქართლურია და მეგრული და სვანური ენები მისთვის, ფაქტიურად, უცხო ენებია. ამიტომ, მათ შორის კავშირის გასარკვევად კარგი იქნებოდა ქართულის პარალელურად მეგრული და სვანური ენის საფუძვლები ისწავლებოდეს სკოლაში, რითაც მოისპობდა არსებული ბარიერი, მაგრამ, დღეს, მეგრული და სვანური კი არა, მალე ქართულსაც დაგვიწყებენ, – ამაზე დარდი მტანჯავს.

თუ არ დაგაკმაყოფილებთ ჩემი პასუხი, სხვა რედაქციას მიმართეთ, თუ გამოგიქვეყნებენ.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ, რომ მიბიძგეთ უკეთ განმემარტა ზოგი დეტალი. ისე აჯობებდა იმ მოძღვარს დაეწერა თქვენს მაგივრად, ვინაც ამ წერილის დაწერა შთაგაგონათ.

პატივისცემით და ქრისტიანული სიყვარულით,

**კუკური ფიფია.**

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27